# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 28 მაისი, 2010 წელი.

№98 (6464)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ტალიავინიმ, სარკოზიმ, შრიოდერმა და სხვებმა თავიანთი მამა-პაპების მიერ აშენებული ევროპა დაასამარეს“ 4

## ხელისუფლება სამხედრო მოსამსახურეების ხმებით მანიპულირებას ეცდება

2 ნაციონალები კანონს თავისებური ინტერპრეტაციით კითხულობენ



4

## არც ქრისტიანები არიან და არც დემოკრატები!

ანუ „მე არა ვარ ის კაცი, გაიგონეთ!“

## ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე ვერდიქტს დღეს გამოიტანენ 2

## სააკაშვილმა რუსეთს ალლუმით „გადაუარა“ 8

Коммерсантъ

## არ გინდივართ? 5 ირანს ჩავეხუტებით!




9

## დიდი მეცნიერის საერთაშორისო აღიარება

ფოტორეპორტაჟი კრიზისით დაქაბუნებული საბერძნეთიდან



## მოაწყობენ ბერძნები რევოლუციას?

Аргументы и факты

◎ წინასაარჩევნოდ

# ხელისუფლება სამხედრო მოსამსახურეების ხმებით მანიპულირებას ეცდება

## ნაციონალები კანონს თავისებური ინტერპრეტაციით კითხულობენ

**არასამთავრობო ორგანიზაციები: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ 30 მაისს არჩევნებში სამხედრო პირების მონაწილეობის წესს ეწინააღმდეგება.**

გუშინ ამ საკითხზე მედიაცენტრში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. პრეტენზია შეეხება საარჩევნო კოდექსის 10.10 მუხლს, რომლის თანახმად თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებულიძ ძალებისა და შენაერთების სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობენ როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით, თუმცა იქვე არის მითითებული, რომ მაჟორიტარული წესით არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არჩევნების დღისთვის მუდმივი დისლოკაციის ადგილზე იმყოფებიან ერთი წლით ან მეტი ვადით. ეს ცვლილება კოდექსში 2009 წლის 28 დეკემბერს არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე შევიდა.

ამ რეკომენდაციის არსი ის იყო, რომ მაჟორიტარებისთვის ხმის მიცემის უფლება იმ პირებს ჰქონოდათ, რომელთაც საარჩევნო დღისთვის შესაბამის ოლქში უკვე ნამსახურები ექნებოდათ ერთი წლით ან მეტი ვადით, რადგან მათ ამა თუ იმ კანდიდატის არჩევანის გაკეთება არ გაჭირვებოდათ.

თუმცა, დღეს უკვე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების ამ რეკომენდაციით მიღებულ მუხლს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მმართველი პარტიის წარმომადგენლები სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ. მათი განმართებით ორივე: პროპორციულ და მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა იმ სამხედრო პირს, რომელსაც სპეციალური სიის შედგენამდე თუნდაც ერთი დღით ადრე გაუფორმდა ერთი ან მეტწლიანი კონტრაქტი. სიას სამხედრო ნაწილის მეთაურები გადასცემენ საოლქო საარჩევნო კომისიებს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღეს.



კანონის ამ მუხლის უგულებელყოფის მთელი ტრაგედია ის არის, რომ ასეთ მომენტსაც სათავისოდ იყენებენ ნაციონალები, – აღნიშნა მიხეილ სესიაშვილმა, – მაგალითად, დუშეთის მე-8 მაჟორიტარულ ოლქში დისლოცირებული იყო 12-მდე მესაზღვრე, რამდენიმე დღის წინათ კი 75 მესაზღვრე მიაწერეს. ეს უბანი იმით არის საინტერესო, რომ იქ „ალიანსს საქართველოსთვის“ მაღალრეიტინგული კანდიდატი ჰყავს. ხელისუფლებას ეშინია, რომ ის გაიმარჯვებს, ამიტომაც სამხედროების ხმებით მანიპულირებს.

სამხედროებით მანიპულირება და მათზე ზეწოლის ფაქტები ზოგადად ახალი არ არის. ეს მექანიზმი ყოველთვის მოქმედებდა და სამხედრო მოსამსახურეები ხშირად იძულებით აძლევდნენ ხმას ამა თუ იმ პარტიას თუ კანდიდატს. თუმცა ამჯერად ერთი განსხვავებაა. თუ ადრე სამხედრო ბილეთით შეიძლებოდა ხმის მიცემა, ახლა მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენაა აუცილებელი, – განაცხადა სესიაშვილმა. მან მიმართა სამხედრო მოსამსახურეებს, არ შეეშინდეთ სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემა, რადგან ხმები ადგილზე არ ითვლება, ილუქება და სხვა მახლობელ საარჩევნო უბანზე გადავა, სადაც ხმები ერთმანეთს შეერევა.

თუ რამდენი სამხედრო პირია საქართველოში, ზუსტი რაოდენობა დახურული ინფორმაციაა, თუმცა „სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხედრო ძალების შემადგენლობა 2010 წლისათვის 37 ათასია. ამ რიცხვს ემატება შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებული ნაწილების რაოდენობა, რაც რამდენიმე ათასს შეადგენს. ამდენად, სამხედრო და გასამხედროებულ პირებს ოლქების არჩევნების შედეგებზე საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

**ამდენად, საარჩევნო კოდექსის 10.10 მუხლის ცესკოს მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციით ხელისუფლებას კვლავ აქვს იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მიზანმიმართულად გაზარდოს და ამ გზით არჩევნების შედეგების თავის სასარგებლოდ შეცვლას შეეცადოს.**

**ნია ფიფია**

◎ პრესკონფერენცია

## შალვა ნათელაშვილი:

# სირცხვილი იმ თბილისელს...

**გუშინ, 27 მაისს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა პრესკონფერენცია მოიწვია და საგანგებო განცხადებით მიმართა თბილისის მოსახლეობას: „სირცხვილი იმ თბილისელს, ვინც მივა არჩევნებზე და ხმას მისცემს სააკაშვილის კრიმინალურ ტყუპისცალს, მასზე უარეს არამზადას – გიგი უგულავას! ეკლესიის, მართლმადიდებლობის, ეროვნულობის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშეს, სოროსის ერთგულ მოწაფეს, ბიუჯეტიდან ასეული მილიონის მომპარავს“...**

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის განცხადებით, მას არც ახლა და არც არასდროს, არ ამოძრავებდა პირადი ინტერესები და პირადი კონკურენცია, მაგრამ რადგან მიაჩნია, რომ გიგი უგულავა, არ შეიძლება იყოს იმ ქალაქის მერი, რომელსაც 100.000 წმინდა მოწამე ჰყავდა, თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, არ აირჩიონ მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი, თავისუფლების ინსტიტუტის დამფუძნებელი, თუთბერიძეების, მინდიაშვილების, ანტიქრისტეების გამომზრდელი. „არ შეიძლება ასეთი წმინდა ქალაქის მერი გიგი უგულავა გახდეს, მე ვლაპარაკობ შესაძლო გლობალურ საფრთხეებზე, რის წინაშეც შეიძლება აღმოვჩნდეთ მისი მერად არჩევის შემთხვევაში. ის არის სააკაშვილზე უარესი ძალა, ანტიქრისტე და წერტილს დაუსვამს საქართველოს ისტორიას!“

შალვა ნათელაშვილმა, აგრეთვე კომენტარი გააკეთა 26 მაისს მსოფლიო ქალაქების საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ რეიტინგზე, სადაც თბილისი სიაში 250-ე ადგილზეა. მან განაცხადა, სამარცხვინოა ის, რომ სუდანის დედაქალაქ ხართუმის გვერდით ვართო.

**თამთა ჭითანავა**

◎ „სახალხო სასამართლო“

# ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე ვერდიქტს დღეს გამოიტანენ

**რამდენიმე დღის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გატყობინებდით, რომ პროექტი „სახალხო სასამართლო“ მუშაობას შეუდგა და პირველ საქმედ 2006 წელს კორტებთან მომხდარი ინციდენტის შედეგად მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეს განიხილავს. საჩივარი გარდაცვლილის მამამ იური ვაზაგაშვილმა შეიტანა.**

სახალხო სასამართლომ საქმის მოსმენა გუშინ განაახლა. როგორც პირველ სხდომაზე, ამჯერადაც, ბრალდების მხარე (ეკა ბესელია და გელა ნიკოლაიშვილიძ გაცილებით მოტივირებული და მომზადებული აღმოჩნდა, ვიდრე დაცვის მხარე (გრიგოლ გაგნიძეძ, რაც დარბაზში მყოფი ხალხის განწყობაზეც აისახა. იმის მიუხედავად, რომ სახალხო მოსამართლე მინდია უგრეხელიძე პროცესის განმავლობაში ცდილობდა ბალანსის დაცვას, ბრალდების მოსაზრებები უფრო არგუმენტირებული აღმოჩნდა, რაც აუცილებლად მოახდენს გავლენას ნაფიც მსაჯულთა (6ძ საბოლოო ვერდიქტზე.

გელა ნიკოლაიშვილმა და ეკა ბესელიამ სასამართლოს წარუდგინეს და თანამიმდევრულად გააცნეს ყველა დაპირებული მტკიცებულება ფოტო და ვიდეომასალების სახით. მათ წინა პროცესზე ასევე დააყენეს 10 მოწმის გამოძახების შუამდგომლობა, რომელთაგან დაიკითხა მხოლოდ ერთი, დამოუკიდებელი ექსპერტი ლევან ქოზულაშვილი, რომელმაც ბალისტიკური ექსპერტიზა ჩაუტარა იმ ავტომობილს, რომელშიც ჩაცხრილეს ზურაბ ვაზაგაშვილი და მისი თანმხლები ორი პირი ალექსანდრე (საშაძ ხუბულოვი და ბონდო ფუთურიძე. დანარჩენი მოწმეებიდან ბრალდების მხარემ მოხსნა ფუთურიძისა და სინდოიანის დაკითხვის შუამდგომლობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი საკუთარი ნებით არ გამოცხადდებიან (გარკვეული მიზეზების გამოძ „სახალხო სასამართლოზე“, ამ ტიპის სასამართლო კი იურიდიული იძულების მექანიზმებს არ ფლობს. ასევე არ დაიკითხება ჟურნალისტი ირინა დეკანოსიძე, რომელიც ამ საქმეს იძიებდა ვახტანგ კომახიძესთან ერთად (სტუდია „რეპორტიორი“ძ და მათ გადაიღეს ფილმიც, რომელიც სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ მტკიცებულებად წარმოადგინა, არ დაიკითხება არც ოთარ ქელდიშვილი – პიროვნება, რომელიც ვაზაგაშვილის ოჯახმა მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ წარმოადგინა როგორც მოწმე (მკვლელობის დროს ქალდიშვილი პოლიციის თანამშრომელი იყო და კულტუარულ ინფორმაციას ფლობდა ამ ე. წ. სპეცოპერაციაზეძ. ოთარ ქალდიშვილი დაახლოებით ერთი წლის წინათ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, თუმცა ბრალდების მხარეს მისი „აღსარების“ ვიდეოჩანაწერი აქვს, რომელიც ასევე წარმოადგინეს სასამართლოს წინაშე. შემდეგ სხდომაზე დაიკითხება ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი და ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომელიც ამ საქმეს დამოუკიდებლად იძიებდა, ხოლო ინციდენტის თვითმხილველების ჩვენებები (ნათია ხაინდრავა, მარინა ცომაია და ივლიტა გაჩეჩილაძეძ გამოქვეყნდება. მათი ჩვენებები ოფიციალურ საქმეშიც დევს, თუმცა გამოძიებას თავის დროზე მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ისევე როგორც სხვა გახმაურებული მკვლელობები, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხდა, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობაც, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ბურუსითაა მოცული. ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, არასწორი და არასაკმარისი ინფორმაციის ბრალიცაა.

ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის ოფიციალურ მასალებში წერია, რომ 2006 წელს თბილისში მოქმედებდა დანაშაულებრივი ჯგუფი (ალექსანდრე (საშაძ ხუბულოვი, ზურაბ ვაზაგაშვილი და ბონდო ფუთურიძეძ, რომლებმაც 2006 წლის 30 აპრილს დააყაჩაღეს ყაზბეგის ქუჩაზე №25-ში მდებარე ერთ-ერთი ლომბარდი და გაიტაცეს დიდი ოდენობით თანხა. ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახს აქვს ვიდეოჩანაწერი, სადაც ფიქსირდება, რომ 30 აპრილს ზურაბ ვაზაგაშვილი მეგობრის ქორწილში იმყოფებოდა. მოგვიანებით, 2 მაისს, იგივე ჯგუფი თავდასხმას გეგმავდა ერთ-ერთ ოჯახზე, რომელიც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით კორტებთან მომხდარი შემთხვევიდან ერთი თვის შემდეგ გაჩნდა საქმეში. ამ ინფორმაციის საფუძველზე ეჭვმიტანილების მიმართ დაწესდა თვალთვალი, თუმცა აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება – ერთ-ერთი პოლიციელის მიერ შედგენილი პატაკი, რომლის საფუძველზეც დაწესდა თვალთვალი, დაწერილია 2006 წლის 2 მაისს, ხოლო ე. წ. დამნაშავეთა დასაჭერად შედგენილი გეგმა დაწერილია 2006 წლის 1 მაისს, ანუ ერთი დღით წინ, რასაც ბრალდება ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მტკიცებულებად აყენებს.




ყოველივე ამის შემდეგ მოხდა ტრაგიკული შემთხვევა კორტებთან, როცა პოლიციამ თითქოს მიიღო გადაწყვეტილება დაეკავებინათ ის ადამიანები, რომლებსაც უთვალთვალებდნენ. ოფიციალური ვერსიით ცეცხლი ეჭვმიტანილებმა გახსნეს, რასაც პოლიციის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. საქმეში ფიგურირებს ავტომობილის უკანა საქარე მინა, რომლიდანაც თითქოს ისროდნენ გარდაცვლილები, მაგრამ რამდენიმე საათში მანქანისთვის გადაღებულ ფოტოზე უკანა საქარე მინას, არათუ ნატყვიარი, სერიოზული დაზიანებაც არ აღენიშნება და იგივე წერია მიღება-ჩაბარების აქტში, რომელიც ოფიციალური დოკუმენტია და მას შემდეგ დაიწერა, რაც ზურაბ ვაზაგაშვილის კუთვნილი ავტომობილი შინაგან საქმეთა სამინისტრომ წაიყვანა, როგორც მტკიცებულება.

ბრალდების მხარემ სხვა უამრავი მტკიცებულებაც წარმოადგინა, მათ შორის ისიც, რომ გარდაცვლილებს თან არ ჰქონდათ არანაირი იარაღი (თვითმხილველის ჩვენებიდანძ და საძილე საშუალება. პოლიციის მხრიდან კი დაირღვა სულ მცირე სამი პრინციპი (რასაც ასევე თვითმხილველთა ჩვენებებიდან გამომდინარე ამტკიცებს ბრალდების მხარეძ: 1. ავტომანქანიდან არ მომხდარა გასროლა, რასაც შეიძლებოდა საპასუხო რეაქცია გამოეწვია; 2ძ პოლიციამ ცეცხლი გახსნა გაუფრთხილებლად; 3ძ სროლა გაგრძელდა მანქანის ბოძთან შეჯახების შემდეგაც.

თუ არა დაგეგმილი დანაშაულის აღკვეთა, რა ედო საფუძვლად ამ სპეცოპერაციის ჩატარებას? დაზარალებული მხარე ამტკიცებს, რომ ეს იყო პირადი შურისძიება საშა ხუბულოვზე, რომელმაც ინფორმაცია მიაწოდა ძალოვან უწყებებს მათი ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ძმის ნარკოდილერობასთან დაკავშირებით, რის გამოც ის პიროვნება დაიჭირეს, თუმცა მოგვიანებით თავისი გავლენიანი ძმის ძალისხმევით ისევ გაათავისუფლეს. იმ დღეს კი, 2006 წლის 2 მაისს საშა ხუბულოვი, ზურაბ ვაზაგაშვილი და ბონდო ფუთურიძე სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ვაზაგაშვილის მანქანაში. ეს ინფორმაცია დაზარალებულის ოჯახს აწ გარდაცვლილმა ყოფილმა პოლიციელმა ოთარ ქელდიშვილმა მიაწოდა. ვარაუდი იმითაც მტკიცდება, რომ სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ სამი საათის განმავლობაში არ იცოდნენ ზურაბ ვაზაგაშვილის ვინაობა, მისი მანქანა ტელევიზიით დედამ ამოიცნო და პროზექტურაში სწორედ ამის გამო მივიდა, მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდა ზურაბ ვაზაგაშვილის ვინაობა.

**ეს არის მოკლე ისტორია კორტებთან ჩატარებული გახმაურებული სპეცოპერაციისა, რომელსაც ორი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა (ბონდო ფუთურიძე დაიჭრა) და მათი ოჯახები სამართალს დღემდე უშედეგოდ ეძებენ. „სახალხო სასამართლო“ კი ვერდიქტს დღეს გამოიტანს, რომელსაც მართალია იურიდიული ძალა არ ექნება, მაგრამ საქმის საერთაშორისო სასამართლოებში გასაჩივრების შემდეგ დამატებით მტკიცებულებად გამოიყენებენ.**

**ანა წიწილაშვილი**

⊙ აღიარება

## დაჯილდოვდნენ პრემიებითა და ორდენებით

საქართველოს პრეზიდენტმა კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები შოთა რუსთაველისა და ეროვნული პრემიებით დააჯილდოვა.

მიხეილ სააკაშვილმა კულტურის სფეროს წარმომადგენლები ავლაბარში, პრეზიდენტის სასახლეში მიიღო.

რუსთაველის პრემია კულტურის სამმა მოღვაწემ — **ვახტანგ კახიძემ, ლილი იოსელიანმა** და **კახი კავსაძემ** მიიღო, ხოლო ეროვნული პრემია ოც მეცნიერს გადაეცა.

მიუხედავად ძალიან რთული სიტუაციისა, ძალიან დიდი მატერიალური გაჭირვებისა და სამწუხაროდ ხშირად ნაკლებად დაფასებისა, ქართველი მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები დღესაც ქმნიან ახალ ნამუშევრებს და ქართული საგანძურის შევსებით მსოფლიო საგანძურს ავსებენ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ალლუმის დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარის სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები უმაღლესი საბრძოლო ორდენით — ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებს ორდენები ველისციხეში წყალსაცავის ადიდების დროს გამოჩენილი სიმამაცისთვის გადასცა. ვახტანგ გორგასლის ორდენები გადაეცათ **ნუგზარ შარაშიძეს, მირზა კონცელიძეს, ასლან ინაიშვილს** და **ალბერტ ყინტილაძეს.**

მიხეილ სააკაშვილმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით **დევი ჭანკოტაძე, ნინო ანანიაშვილი, ალექსანდრე ბესტავაშვილი, ლადო გურგენიძე, ნიკა ვაჩეიშვილი, ალბერტო დომინგო კაბო, ნანი ბრეგვაძე, კობა ნაყოფია, ნინო სუხიშვილი, როლანდ ახალაია (პროკურორი), ხატერ მასადი, ლევან ალექსიძე, იულონ გაგოშიძე, როლანდ ახალაია (ექიმი), ჯემალ ჭკუასელი, ეკა ზღულაძე, რამაზ ნიკოლაიშვილი, დანიელ კუნინი, შამილ ძორთოშიძე, ილიკო სუხიშვილი, ნიაზ დიასამიძე, ირაკლი ეზუგბაია** და **პაატა ბურჭულაძე** დააჯილდოვა.

ყველაზე ხანდაზმული ემიგრანტი ალექსანდრე ბესტავაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად, საქართველოში ოჯახთან ერთად ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან.

⊙ ინფორმაცია

## თუ საქართველო შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, ნატოს წევრი გახდება



**„თუკი საქართველო შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, ნატოს წევრი გახდება“, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში განაცხადა.**

**— საქართველომ გამოხატა ნატოში შესვლის ინტერესი და პროცესი გრძელდება. ალიანსს შექმნილი აქვს კომისია, რომელშიც საქართველო საკუთარ პროგრამებს ამუშავებს და წინ მიიწევს. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ საქართველოს ამ სწრაფვას, ვეხმარებით მას თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში, ასევე დემოკრატიის განვითარების პროცესში. ჩვენ ისევ ვმუშაობთ ჩვენს მოკავშირეებთან ამ საკითხის გადასაჭრელად და თუკი საქართველო დააკმაყოფილებს კრიტერიუმებს, კონსენსუსით, საქართველო გახდება ნატოს წევრი, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, — განმარტა გორდონმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვინ — ვის?

# გამორიცხული არ არის, ობამა ფიქრობდეს ერთს და ლაპარაკობდეს მეორეს

***საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, აშშ ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ქართული ოპოზიცია და მომავალი არჩევნები, ეს ის საკითხებია, რომელზეც საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსმა“ ედუარდ შევარდნაძეს კომენტარი სთხოვა.***



**— ბატონო ედუარდ, როგორ შეხვდით საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს. დღეს საქართველო სუვერენიტეტშელახული ქვეყანაა. როგორ ფიქრობთ, როგორია ჩვენი დამოუკიდებლობის ხარისხი?**

— დამოუკიდებლობის აღნიშვნა აუცილებელია, მაგრამ ალლუმის ჩატარება აუცილებელი არ იყო. მე რომ ვყოფილიყავი, ალლუმს არ ჩავატარებდი. რას მოიტანს ალლუმი? ჯარი მოაწყობს მსვლელობას და ამით დასრულდება ყველაფერი. დღეს ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ არ ყოფილიყო ევროკავშირის ჩარევა, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მცდელობები, საქართველოს ტერიტორია მთლიანად ოკუპირებული იქნებოდა. მთელი ევროპა გვერდით დაგვიდგა, თუმცა არც ჩვენ ვართ მართლები. აგვისტოში ცხინვალში პირველი ჩვენ შევედით. ეს იყო შეცდომა. შემდეგ როკის გვირაბიდან მოგვადგნენ რუსები და ქართველები გამოყარეს. რაც მოხდა, ყველაფერი შეცდომა იყო — როგორც ომის დაწყება ცხინვალის რეგიონში, ასევე რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება.

**— ბატონო ედუარდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ქვეყნის საგარეო ორიენტირი არაერთხელ აღმოჩენილა გამოცდის წინაშე. აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, სამხრეთი თუ ჩრდილოეთი — ორიენტირები არაერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი. ბოლო დღეებში მსჯელობის საგანი საქართველო-ირანს შორის თანამშრომლობის ახალი ასპექტებია. ირანის პრეზიდენტმა თავის ქართველ კოლეგას მოკითხვა შემოუთვალა, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტი ახმედინეჟადი საქართველოში დაპატიჟა. იმ ფონზე, როცა საქართველოს მთავარი პარტნიორი აშშ-ია, ხოლო ირანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული, როგორ ახსნით ოფიციალური თბილისის ამ ნაბიჯს?**

— ობამასათვის ეს ფაქტი მიუღებელია, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, რას ფიქრობს ობამა. ირანი ჩვენი მეზობელია. ბევრი სიმწარე გვახსოვს, ბევრი სიკეთეც. სხვათა შორის, ერეკლე მეფეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ირანელ გამორჩეულ მებრძოლებთან. ისინი ბევრ ომში მეფის თანამებრძოლებად ითვლებოდნენ. როცა გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო რუსეთთან, მაშინ ერეკლეს ზურგი შეაქციეს. ჩაითვალა, რომ ერეკლემ უღალატა ირანს და მუსლიმანებს, არადა ერეკლეს მაშინ სხვა გზა არ ჰქონდა. ხანდახან, მეგობრებს შორისაც გაჩნდება ხოლმე ისეთი წინააღმდეგობა, რომელსაც ცოცხალი ადამიანი ვერ გადალახავს. ირანს ბევრი სიკეთე არ გაუკეთებია ჩვენთვის, მაგრამ ირანის გავლენა მაინც ძალიან დიდი იყო. მათ ნახევარი კახეთი გაასახლეს. მახსოვს, თეირანში ყოფნისას 20-მდე ადამიანს შემახვედრეს, ჩიქორთული ქართულით მესაუბრებოდნენ, ისინი ირანს საკუთარ სამშობლოდ თვლიდნენ. ჩემს დროს იყო მცდელობები, რომ ეს ხალხი საქართველოში დაბრუნებულიყო. ჩამოვიყვანეთ კიდეც. ზოგიერთმა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარა. ვინც სწავლა გადაწყვიტა, დარჩა საქართველოში, უმრავლესობა კი წავიდა. მათი სამშობლო ირანი არის. ირანთან ურთიერთობა ძალიან წინააღმდეგობრივია, მაგრამ ეს ისტორიაა. გვქონდა ძალიან საინტერესო მოვლენები, მაგრამ იყო აბსოლუტური შეურიგებლობა. ახალ რეალობებში, რას ფიქრობს ობამა საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით, ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული, ობამა ფიქრობდეს ერთს და ლაპარაკობდეს მეორეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, ისევე, როგორც მადლენ ოლბრაიტმა, მხარი დაუჭირეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ასეთი მხარდაჭერა პრეზიდენტის ნების გარეშე არ ხდება. შესაძლებელია, ამ სიტყვიერი მხარდამჭერი განცხადებების უკან რაღაც სხვა გეგმა არსებობდეს, რაღაც სხვა გეგმა ინილბებოდეს. შეიძლება ასეა, მაგრამ მე მგონი, ობამას ნაბიჯები უფრო გამართლებულია, ვიდრე ჩვენი.

**— პრეზიდენტმა ობამამ რუსეთთან თავისი „გადატვირთვის პოლიტიკის“ ფარგლებში, ახლახან ამერიკის კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითა, რომ ბირთვულ ენერგეტიკაში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირებას აღარ აბრკოლებს საქართველოში შექმნილი სიტუაცია. რით ახსნით აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის ასეთ დამოკიდებულებას საქართველოსადმი?**

— აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის დაგმობას სხვა გაგრძელებები აღარ მოჰყოლია, ე.ი. პოლიტიკაში ხდება ისეთი რაღაც, რაზეც უნდა იმარჩიელო, რომელია სწორი, რომელი არაა სწორი. ობამას ახლა ყველაზე მეტად აწუხებს ავღანეთი, ხოლო ირანი იმდენად აღარ. მე მჯერა, რომ ავღანეთიდან ობამა გამარჯვებული გამოვა და ამით ირანის საკითხი, პრაქტიკულად, მოგვარებული იქნება.

**— ფიქრობთ თუ არა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოსადმი დისტანცირებული პოლიტიკის კურსს დაადგა და სწორედ ამის საპასუხო ნაბიჯი იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ირანთან დაწყებული ურთიერთობები? აქვს თუ არა ასეთ ვარაუდს საფუძველი?**

— მე მგონია, რომ ასეთ ვარაუდს საფუძველი არ აქვს. სააკაშვილი თავისით ვერაფერს გადაწყვეტდა...

**— ბატონო ედუარდ, დღეს ქვეყანაში ყველაზე „ცხელი თემა“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. როგორც წესი, ადგილობრივ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა არასოდეს ენიჭება, მაგრამ ახლა მოლოდინი საპირისპიროა. მაისის არჩევნები ქართული პოლიტიკისთვის იქნება გარდამტეხი? გჯერათ, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება?**

— არჩევნები დემოკრატიულად რომ ჩატარდება, ახლა უფრო მჯერა, ვიდრე წინათ. ცუდია, რომ ოპოზიციამ ვერ მოახერხა გაერთიანება. ოპოზიცია რომ გაერთიანებულიყო, შეიძლება გაემარჯვა. თუ გაიხსენებთ საპრეზიდენტო არჩევნებს, ლევან გაჩეჩილაძემ მიხეილ სააკაშვილს თბილისში არჩევნები მოუგო. ოპოზიციაში — ალასანია, ჭანტურია, ძიძიგური, გაჩეჩილაძე, ბურჯანაძე, სხვები, ჭკვიანი ხალხია, მაგრამ მათ გაერთიანება ვერ მოახერხეს. არავინ იცის, რით დამთავრდება ეს არჩევნები. მიხეილ სააკაშვილს ძალიან დიდი რესურსი აქვს — ჯარი, პოლიცია, გუბერნატორები მას ემორჩილებიან. მისი რესურსი გაცილებით მეტია, ვიდრე ოპოზიციის. ამ რესურსის იმედით, მიხეილ სააკაშვილს, საბოლოოდ, არ დაუკარგავს შანსი, რჩებოდეს ძალაუფლებაში. ტელეკომპანია „იმედზე“ იმიტირებული სიუჟეტის გასვლამდე ვამბობდი, რომ სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო ვადას დაასრულებდა. თუმცა ახლა საეჭვოა მისი შესაძლებლობები. ეს გადაცემაც მისი ნებართვის გარეშე არ განხორციელებულა. ადრეც ვთქვი, ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე. თუ ხალხი ქუჩაში კვლავინდებურად, ისეთივე შემართებით და რაოდენობით გამოვა, მაშინ შეიძლება მიხეილ სააკაშვილი გადადგეს. ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია.

**— როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის შეუთანხმებლობა თბილისის მერობის ერთიანი კანდიდატის გარშემო, იყო თუ არა მათი შეცდომა?**

— შეცდომა იყო, მაგრამ კიდევ არის დრო, რამდენიმე დღე, რომ გაერთიანდნენ, მაგრამ არა მგონია.

**— ბატონო ედუარდ, საშინაო პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა ოპოზიციის რუსეთში გახშირებული ვიზიტებია. არის თუ არა ეს ბურჯანაძე-ნოღაიდელის მცდელობა პუტინის დახმარებით სააკაშვილის ხელისუფლება შეცვალონ, თუ საქმე გვაქვს იმ საკითხების გულწრფელ გადაწყვეტის მცდელობასთან, როგორიცაა რუსულ ბაზარზე დაბრუნება, ქვეყნის დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

— მეორე ნაწილი უფრო სწორია. პუტინთან შეხვედრა არ ნიშნავს, რომ ხვალ აფხაზეთსა და ცხინვალს დავიბრუნებთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რუსებმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა ამ რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარეს. მათ იმდენი ავტონომია აქვთ — ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტანი, თათარისტანი, რუსები უმცირესობაში არიან. შეიძლება მოხდეს ისე, რომ რუსეთმა თავად შეუწყოს ხელი თვითდაშლას. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება არ შეიძლებოდა. რუსეთის მხრიდან აფხაზეთით დაინტერესება განპირობებული იყო იმით, რომ მას ჰქონდა შავ ზღვაზე გასასვლელი. ახლა რუსეთს უკრაინამ 25-წლიანი იჯარით სევასტოპოლის პორტი დაუთმო. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ამ ფაქტის გამო, რუსეთმა აფხაზებს თავიანთი საჭიროება აღარ დაანახოს. პუტინის განწყობები მნიშვნელოვანია. მან პრიმაკოვს დაავალა კიდეც, საქართველოს საკითხს მიხედოს, ის კი თბილისელია, პლეხანოვზე გაზრდილი ბიჭია. მე მაინც ვთვლი, რომ რასაც ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი აკეთებენ, სასარგებლოა. ადამიანს როდესაც დაელაპარაკები, გზა მერე გამოჩნდება. მცდელობები ბევრს ნიშნავს. ასეა პოლიტიკაში. რეიგანს სულ შვიდჯერ შევხვდი, მაგრამ ჩემი პირველი შეხვედრა მასთან ჯოჯოხეთური იყო. აბსოლუტური უნდობლობიდან ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ ეპოქის მნიშვნელოვანი საკითხები.

**— დაბოლოს, ბატონო ედუარდ, მინდა თქვენს შესახებ გკითხოთ. რას საქმიანობთ ამჟამად, ვიცით, რომ გერმანიაში იგეგმება თქვენი ჩასვლა...**

— დიახ, გერმანიაში ჩემს შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმის პრეზენტაციაზე მიმიწვიეს და უნდა გავემგზავრო. პრემიერა ივნისის დასაწყისშია დაგეგმილი. გერმანელები საოცრად მადლიერი ხალხია. საქართველოშიც იმყოფებოდნენ, ჩემს მხარეში — გურიაში გადაიღეს ჩემი სოფელი, ჩემი სკოლა, ჩემი სახლი. ამასთან, ვმუშაობ ახალ წიგნზე, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. მინდა ერთ მთლიანობად გამოვცე ჩემი პრეზიდენტობის მოღვაწეობის 11 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ ჩემი შეფასებები, რომლებიც რადიო-ინტერვიუების სახით დამიგროვდა. ასევე, სულ ახლახან, საქართველოში ირანის საელჩოში შედგა ჩემი მემუარების სპარსული გამოცემის პრეზენტაცია. წიგნის რედაქტორი გახლავთ ბრწყინვალე ირანისტი ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილი, ხოლო სპარსულ ენაზე თარგმნეს ფერეიდნელმა ქართველებმა.

## საარჩევნო ფინიშის სწორი

# არც ქრისტიანები არიან და არც დემოკრატები!





## ანუ „მე არა ვარ ის კაცი, გაიგონეთ!“

**ადგილობრივი არჩევნები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. პოლიკარპე კაკაბაძისა არ იყოს, „ამ ქალაქში ათასი პარტიაა და ერთმანეთი არც ერთს არ უყვარს“. სიყვარულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ წინასაარჩევნო დაპირებებს ისე გულუხვად იძლევიან, დაპირებების მეათედიც რომ შესრულდეს, ცხოვრება გადმოდუღდება. პარტიების მიერ წამოყენებული კანდიდატები ოქროს „სარაიების“ აშენებასაც კი ჰპირდებიან ამომრჩევლებს, ოღონდ, თავისას რომ აიშენებენ, შემდეგ. ისე, კაცმა რომ თქვას, სჯობდა ეს დაპირება შეებრუნებინათ.**

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ქრისტიან-დემოკრატები, რომლებიც, ევას მაცდური ვაშლივით, უზრუნველ ცხოვრებას სთავაზობენ ამომრჩევლებს, მათი არარეალური პროგრამა ზღაპრების სფეროს განეკუთვნება. ჩვენმა ამომრჩევლებმა ეს ყველაფერი შესანიშნავად იციან და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არც ერთი პარტიის ხელმძღვანელი ცარიელი ლაქლაქით ისე არ ცდილობს ლელოს გატანას, როგორც გიორგი თარგამაძე. მართალია, მისნაირთა წყალობით ბნელა, მაგრამ არც ისე, რომ თვალში თითი ვერ მიიტანო. მას საპარლამენტო არჩევნებში მიცემული ერთი სერიოზული დაპირებაც კი არ შეუსრულებია, თუმცა საქვეყნოდ აცხადებს, ჩვენს მიერ მიცემული ყველა დაპირება პირნათლად შევასრულეთო. რას იზამ, „ზოგის ტანი იზრდება და ზოგის ჭკუა“. ამ კაცს კიდევ რა დაემართა, ღმერთმა იცის. ისიც აღარ ახსოვს, რომ წყლების გაყიდვის შედეგად საამურ ცხოვრებას პირდებოდა მოსახლეობას, მიაღწევდა ყოველი მშობიარე ქალისთვის 500 ლარის მიცემას და ა. შ. მისი დანაპირები, ფრანგული ანდაზისა არ იყოს, მაშინ შესრულდება, „როცა ქათმებს კბილები ამოუვათ“, ანუ ჩვენებურად, როდინობის კვირაში. მაგრამ მას ეს სრულებითაც არ აღარდებს. მას ისიც ფეხებზე ჰკიდია აბრეშუმის ჭიასავით რამდენჯერმე რომ გამოიცვალა კანი და დარბის პარტიიდან პარტიაში.

ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „ათადან – ბაბადან ისეა მიღებული, რომ სუფრის თავში ხშირად ის წამოსკუპდება ხოლმე, ვინც უფრო ფეხმარდია, გაძრომ-გამოძრომა ეხერხება“. გაძრომ-გამოძრომაში კი გიორგი თარგამაძეს ვერავინ შეედრება. მან ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადაიარა, აბაშიძე გამოიარა, პატარკაციშვილი გამოიარა... და ქრისტიან-დემოკრატების პარტიის თავში წამოსკუპდა. ენის ტრიალში დახელოვნებულმა ტყუილ-მართალი შესანიშნავად შეაზავა, მაგრამ ხალხი მალე მიხვდა მის ცუღლუტობას და საზოგადოებაში მეტად საეჭვო მითქმა-მოთქმა გაჩნდა მისი პიროვნების შესახებ. ამბობენ, ცუღლუტობით ბევრი ფულიც დასცინცლა თავის კეთილისმყოფელებსო. ასეთები კიდევ „სირცხვილს კუჭით ინელებენ“ და აკაკი წერეთლის „პატრიოტის აღსარების“ პერსონაჟს მოგვაგონებენ, რომელთაც არ შეუძლიათ შიშხინა მწვადის ყურება ისე, თუ პირი პატრიოტული ნერწყვით არ აევსოთ. მათ „საკუთარი, საპირადო ხაზი და ლარი გაჰყავთ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ, ენას ატრიალებენ“. თუ სულმნათ ვაჟა-ფშაველას დავესესხებით, ამომრჩევლები კანდიდატს, უპირველეს ყოვლისა, გონებრივ და ზნეობრივ თანხას სთხოვენ და თუ ერთი მათგანი აკლია, მაშინ იგი უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარ კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში“. ქრისტიან-დემოკრატების თავკაცს კიდევ საზოგადოების თვალში ორივე აკლია, მაგრამ კერიის მაგივრად სუფრის თავშია ჩამომჯდარი.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში საფუძვლიანი ეჭვია გავრცელებული გიორგი თარგამაძის პარტიის ნაციონალებთან კავშირის, როგორც სატელიტი პარტიის შესახებ. ერთი რამ ცხადია, რომ პარლამენტში არჩევნების დროს ორი თვის განმავლობაში პარტიული სტრუქტურების აწყობა, ჩამოყალიბება და არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება საკმაოდ საეჭვოს ხდის თარგამაძის პარტიის მთელ საქმიანობას. საეჭვოა მათ მიერ დახარჯული სახსრები. ფეშენებელური ოფისების, პირველად ოპერის თეატრში ჩატარებული ყრილობის შესახებ და სხვ. ფრიად საეჭვოდ მიაჩნია საზოგადოებას ის ფაქტი, რომ გიორგი თარგამაძის პარტიამ საკმაოდ უკან ჩამოიტოვა რესპუბლიკური პარტია, რომლის წევრები შეუდარებლად უფრო მაღალი ინტელექტუალურ და პოლიტიკურ ბრძოლაში გამოცდილები არიან, ვიდრე თარგამაძის პარტიის წევრები. დიდად დამაფიქრებელია და საეჭვოა ის გარემოებაც, რომ ამ პარტიამ ლეიბორისტულ პარტიაზე გაცილებით მეტი ხმები დააგროვა. ან გვინდა კი 150-კაციან პარლამენტში ამდენი ჟურნალისტი? ამის გამოცაა, რომ სულ ემოციების ტყვეობაში ვრჩებით და ხშირად საკითხები არაპროფესიონალურ დონეზე წყდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, საჭიროა დავუმატოთ ისიც, რომ გიორგი თარგამაძე და მისი პარტიის წევრები ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებენ და ზოგჯერ საკმაოდ მწვავედაც (მაგალითად, გ. ახვლედიანის გამოსვლა პარლამენტში პრეზიდენტის შეხვედრის დროსძ, რათა აშკარად არ ჩანდეს მათი სახელისუფლებო პარტიასთან ურთიერთკავშირი. სამაგიეროდ გადამწყვეტ მომენტში ისინი შეხმატკბილებულად ერთ ხმაში მღერიან.

ფრანგები ამბობენ: ერთნაირი ფრანგები ერთად იყრიან თავსაო. დიდი რუსთაველი კი ბრძანებდა: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შოხს, ესე ბრძენთაგან თქმულია“. გიორგი თარგამაძეც თავის გარშემო იკრებს თანამოაზრეებს. მან ინგლისში სასწავლებლად მყოფ ინგა გრიგოლიას საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატურა შესთავაზა. ინგამაც რის სწავლაო და გახარებული ჩამოქროლდა თბილისში. როგორც ჩანს, 40 წლის ასაკში სწავლისთვის აღარ ცხელოდა.

ჩვენი საზოგადოება საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამს, რომ ინგა გრიგოლიას ნაბიჯი ხელისუფლების გეგმის შემადგენელი ნაწილია. თავად ქალბატონ ინგას კი მიაჩნია, რომ ოპოზიციონერების სამთვიან ქუჩაში დგომას, მრავალათასიან მიტინგებს არაფერი მოუტანია და დიდი თავდაჯერებით აცხადებს: თუ ქრისტიან-დემოკრატები დავიწყებთ აქციებს, ჩვენ თვითონვე დავამთავრებთ ამ ხელისუფლებას ყოველგვარი სხვისი კარნახის გარეშეო! საკითხავია, მაშინ ეს 40 წლის ქალბატონი რაღა ინგლისში მიფრინავდა ენის სასწავლებლად, აქ ერთხელ მაინც ეცადათ ბედი. ისე გამოდის, თითქოს ოპოზიციონერებმა დაუშალეს ამ ჩვენს კვერცხში მწივან ლოჭინზე ნაკურთხ ჟურნალისტს ამ ხელისუფლების დამთავრება. უფრო მეტიც, მისივე განცხადებით, ჯერჯერობით არ არსებობს კითხვა, რომელზეც პასუხი არ ჰქონდეს. ამაზე იტყვიან: „თავის ქება კიტრად ღირსო“. მოკლედ, ინგას არც ადრე ეშლებოდა ენის დატრიალება, მაგრამ ახლა ნამეტანი ააბრუნა წისქვილი და ცდილობს ამირანის ხმლის ქნევა დაიწყოს. მაგრამ „დაგვიჯერებენ მხოლოდ იმას, რაც თვითონ გვჯერა“.

არა გვგონია საზოგადოებას და პირადად ინგა გრიგოლიას სჯეროდეთ ის, რომ ლონდონში მისი სასწავლებლად წასვლა ცოდნის გაღრმავების სურვილი იყო. ინგა ყოველთვის წუწუნებდა, ხუთჯერ დამიხურეს პროექტიო, მაგრამ იმის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს, რომ მას ხუთჯერვე აღუდგინეს ტელეპროექტები. მაშ, დიდად ნიჭიერმა და მასზე უფრო გამოცდილმა ტელეჟურნალისტებმა რაღა უნდა თქვან, რომლებსაც, მართლაც, დაუხურეს პროგრამები. სამაგიეროდ ინგას არ ეშლებოდა ის, რომ საჭირო დროს ეთქვა საჭირო სიტყვა ხელისუფლების დასაცავად. ამიტომ ლონდონში ინგლისური ენის შესასწავლად წასვლა საზოგადოებას ინგასა და ხელისუფლებას შორის გარიგებად მიაჩნია. ამ ასპექტში საინტერესოა ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილი: „შევიტყვეთ, თურმე ფრანციცულს სწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა... „ოც და ათ წელიწადს უკან რომ ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“. აკაკი წერეთელსაც აქვს ნათქვამი: „მოხუცი აქ რომ ჩონგურს ისწავლის, ის საიქიოს გამოადგება“. რა თქმა უნდა, ინგა მოხუცებულობისგან შორს არის და ღმერთმა, როგორც იტყვიან, ასი წელი აცოცხლოს კიდევ, მაგრამ მის ასაკში ლონდონში სასწავლებლად წასვლა დაგვიანებული და ამდენად საეჭვო იყო, მით უმეტეს, როგორც ამბობენ, მას გვარიანი ხელფასი, თვეში რამდენიმე ათასი ლარი ჰქონია. სასწავლებლად წასვლაც გვარიანად დაუფინანსებიათ.

ინგა გრიგოლია თავის ქებაში ტოლს არავის უდებს და ცდილობს კუდიანი ტყუილებით გავიდეს ფონს. იგი დარწმუნებულია, რომ მოენდომებინა თავის დროზე პარლამენტის მაჟორიტარულ არჩევნებში მოგება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ამჟამად მთავარია თბილისის საკრებულოს არჩევნების მოგებაო. ინგა ამომრჩევლებს პირდება, რომ მოგების შემთხვევაში სახლის სახურავზეც ავა შესაკეთებლად და გაფუჭებულ კანალიზაციასთანაც მივა. მას იმედი აქვს, რომ როცა რომელიმე კორპუსის სახურავზე თამაზ წივწივაძე მოკრავს თვალს, ნამდვილად არ იტყვის – „სახურავზე გიჟიაო“. ბატონი თამაზ წივწივაძე ქალბატონ ინგას ამას ნამდვილად არ აკადრებს, მაგრამ ბატონ თამაზის ამბავი რომ ვიცი, თავს ვერ დავდებ ის მაინც არ თქვას – „სახურავზე ხელიაო“. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ხელს გიჟის სინონიმად მიიჩნევს და განმარტავს: ხელი არის, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არც თვითონ იგვემდეს და არცა სხვათა ავნებდეს. ასე რომ, ქალბატონ ინგას რამდენიც უნდა იმდენი ირბინოს კორპუსების სახურავებზე – დამშლელი და დამზრახველი არავინ ეყოლება.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ: ნუ ჰგონია გიორგი თარგამაძეს ხალხის მოტყუებით მიაღწევს საწადელს. იგი რომ ნებაზე მიუშვა, ხვალ პრეზიდენტობაზეც იყრის კენჭს, რაც, ალბათ, ხშირად ესიზმრება კიდეც. მაგრამ ქრისტიან-დემოკრატების ანკესზე აცმულ ჭიას უკვე აღარავინ წამოეგება. ხალხი მიხვდა რა ბათმანიც არიან.

დღეს ძალიან ბევრმა ისწავლა ლამაზი ლაპარაკი, წერა-კითხვა, ხალხთან შეხვედრა-საუბრები, გულუხვი დაპირებების გაცემა, სწორი, ყოველმხრივ გამართული, ბრძნული და მიმზიდველი მოწოდება-ლოზუნგების წარმოთქმა. მათ წუნს ვერაფერში დასდებ. მაგრამ მოდით, მაინც ნუ დავუჯერებთ მათ, რადგან მათი საქმიანობა ხშირად როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება მათივე ლამაზი სიტყვებისგან. ამიტომ მათი ლამაზი სიტყვები აუცილებლად უნდა შევუჯეროთ მათი ცხოვრების წესს, მამულიშვილობას, განვლილ გზას, ეროვნული ფასეულობებისადმი დამოკიდებულებას, პრაქტიკული თუ თეორიული მიღწევების შედეგს, მათი ქონების კანონიერებას. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პითაგორას ნათქვამი: რაც არ უნდა მოკლე იყოს სიტყვები „ჰო“ ან „არა“, ისინი მაინც მოითხოვენ სერიოზულ დაფიქრებას.

**ანდრო ჟღენტი.**

***P. S. ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის მოწოდებას „დაიცავი საქართველო!“ მოკრძალებით დავუმატებდი სიტყვებს: „გიყვარდეს საქართველო!“.***

***ა. ჟ.***

## სიმართლე კი ასეთია



# „ტალიავინიმ, სარკოზიმ, შრიოდერმა და სხვებმა თავიანთი მამა-პაპების მიერ აშენებული ევროპა დაასამარეს“

***ცნობილი რუსი ჟურნალისტი იულია ლატინინა ცოტა ხნის წინათ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ჰაიდი ტალიავინის მიერ წარდგენილ მოხსენებასა და ზოგადად ევროპაში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს შორის პარალელებს ავლებს და „ევროპის დაშლის დასაწყისზე“ საუბრობს. ლატინინას მიერ საკუთარ საიტზე გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც საქართველოს მიმართ ევროპის წამყვანი ქვეყნების ამჟამინდელი მმართველების პოლიტიკა და ტალიავინის მოხსენებაში გამორჩენილი რიგი საყურადღებო ასპექტები დეტალურადაა განხილული, „პირველი“ უცვლელად გთავაზობთ.***

„ალბათ, ბევრს გააკვირვებს ის ფაქტი, რომ ბერძნული, უფრო ზუსტად კი ევროპული კრიზისის პიკზე გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ დამეწერა მოვლენაზე, რომელიც თითქმის ერთი წლის წინათ მოხდა – ქართულ-რუსული ომის შესახებ მოხსენებაზე, რომელიც ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით ევროკავშირის კომისიამ მოამზადა. თუმცა საქმე ისაა, რომ, ჩემი შეფასებით, ეს მოხსენება მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც გარკვეული მოსაზრებით შეიძლება, თვით რუსეთ-საქართველოს ომზე უფრო მნიშვნელოვნად ჩაითვალოს. ტალიავინის მოხსენება ახალი „მიუნჰენია“ და ამ „მიუნჰენიდან“ ძალიან ბევრი რამ გამომდინარეობს, ევროპის ამჟამინდელი ეკონომიკური კრახის ჩათვლით.

თუ ვინმე საკუთარ პოლიტიკასა და ეკონომიკას სიცრუეზე და საკუთარი თავის მოტყუებაზე აგებს, თუ ვინმე საკუთარ თავს გულწრფელად თვლის თავისუფლების დამცველად, რეალურად კი შიშისა და გულგრილობის გამო დიქტატურას ახალისებს, თუ ვინმე გულწრფელად თვლის თავს საბაზრო ქვეყნად, რეალურად კი დიდი ხანია, წვრილმან რეგულირებაში ჩაეფლო და ვალებით ცხოვრობს, მაშინ ის ადრე თუ გვიან, კატასტროფულ შედეგებს მოიმკის.

იხ. 7 გვ.

გლობუსი

# არ გინდივართ? ირანს ჩავეხუტები!

**საკუთარ პრობლემებში გართულმა საქართველომ ყურიც არ ათხოვა ცნობას — ირანის, ბრაზილიის, თურქეთის პრეზიდენტების შეთანხმებასთან დაკავშირებით. საქმე ირანის მიერ ურანის გამდიდრებას ეხება, უფრო ზუსტად ირანის ურანის თურქეთში გამდიდრებას და გამდიდრებულის ისევ ირანში დაბრუნებას.**

ბედკრული საქართველოსთვის ირანის ბირთვული კვლევის საკითხი სულაც არ არის აქტუალური. მით უმეტეს დღეს, როდესაც ხელისუფლების მიერ ორგანიზებული სატყუარა — ადგილობრივი არჩევნების სახით, იმ ყურადღების მაქსიმუმს შთანთქავს, რაც აუტანელი ყოფის განსჯა-გაანალიზებას უნდა ხმარდებოდეს. ხელისუფლება მომავალშიც არაერთ სატყუარას შესთავაზებს საზოგადოებას, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ უნდა გაგვიკვირდეს ოპოზიციის ქცევა და მისი მონური მზადყოფნა ხელისუფლების თამაშში მონაწილეობისთვის. თავდაჯერებული ხელისუფლების ფონზე სასაცილოდ გამოიყურება ერთობ ატროკებული ოპოზიცია. ცხადია მათ რიცხვს არ მიეკუთვნებიან ბურჯანაძე, ნათელაშვილი და ეროვნული ფორუმი. ნათელაშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ოპოზიციურ სპექტრს არჩევნების ბოიკოტისკენ, თუმცა, როგორც მან, ისე სხვამ ზედმიწევნით კარგად იცის, რომ ასეთს ადგილი არ ექნება. **საარჩევნო ეშხში შესული პარტიები მერობისა და გამგებლობის მანტიას ვირტუალურად ირგებენ. მთავარია, რომ მათ სჯერათ გამარჯვების, მეორეხარისხოვანია ის, რომ ამომრჩეველს არ სჯერა ამის. მაისის ბოლოს დამთავრდება მრავალთვიანი ვნებათაღელვა, შემდეგ... შემდეგ დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, შემდეგ დადგება ჟამი დასვენებისა და ასე და ამრიგად პოლიტიკური გაზაფხულ-ზაფხული ისტორიას ჩაბარდება. რა იქნება შემოდგომით ლელა კაკულია გვეტყვის, ყოველ შემთხვევაში ოპოზიციური წინასწარმეტყველება „ცხელ" შემოდგომასთან დაკავშირებით ჯერ არ გვსმენია. როგორც ჩანს არჩევნებით მონუსხულებს სამომავლო პროგნოზის თავი არ აქვთ. არც ერთი მათგანი არ ვარაუდობს ხვალინდელზე. ასეთ დროს, სრულიად მოულოდნელად, გარეშე ფაქტორებმა შესაძლოა ისეთი ზეგავლენით იმოქმედოს ქვეყნის შიდა ცხოვრებაზე, რომ არსებული გაუსაძლისობა ედემად მოგვეჩვენოს.** გარეშე ფაქტორს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ხელისუფლება-საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში. გარდა ამისა ბუნებრივად შობს ხელისუფალთა სპონტანურ პასუხს — რა დროს ეს არის, როდესაც... მსოფლიო ისტორიაში არაერთხელ ჰქონია ადგილი ხელისუფალთა მხრიდან გარეშე ფაქტორების გამომწვევი ქმედებების ხელის შეწყობას. ასეთ საქმიანობას უცხოეთში ძირითადად პროვოკაციად მოიხსენიებენ, რაც არც ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის არის უცხო. ხელისუფლებისა და საზოგადოების კონსოლიდაციას ჰქონდა ადგილი 2008 წლის 12 აგვისტოს პარლამენტის წინ გამართულ ცეკვა-თამაშის დროს. **ისე, როგორც ბოლო 20 წლის განმავლობაში, დღესაც საკუთარი ხალხის სახელისუფლებოდ განსაწყობად რუსული აგრესია ზედგამოჭრილი წამალია. შორს წასვლა ან რაღაცის მოგონება საჭირო არ არის, ყველაფერი მეზობლად გვაქვს. ამიტომაც ამ წამალს ხშირად იყენებენ საზოგადოების, როგორც აღსაგზნებად, ისე დასაშინებლად არა მარტო „ოპოზიციური" პარლამენტარები, არამედ „სამშობლოს სიყვარულით" ანთებული პოლიტოლოგია და იმის შემდეგი მოსაზრება — რუსეთის მიერ ყაზბეგისა და მიმდებარე რაიონების დაპყრობა თითქოს დედამიწაზე რუსეთ-საქართველოს გარდა არც ერთი ქვეყანა არ არსებობდეს. თითქოს რუსეთის ახალ აგრესიას ისე ჩაყლაპავს ამერიკა-ევროპა, როგორც 2008 წელს.**

**როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ვიტყვი, რომ არ ყოფილიყო სააკაშვილის აგრესია, არავითარ რუსულ ოკუპაციას ადგილი არ ექნებოდა. იქნებ სწორედ საქართველოს ნაბიჯი ამუხრუჭებს დასავლეთს რუსეთთან კატეგორიული ტონით სალაპარაკოდ? აშშ-მა და ევროპამ ნათლად დაინახეს ვინ არის დამნაშავე.** ერთადერთი ვინც სააკაშვილის ფანად დარჩა, სენატორი მაკკეინია და ისიც ჩვეული მიკერძოებით უკმაყოფილების გრიგალს აფრქვევს ობამას ადმინისტრაციას. ბოლო გამოხდომას გასულ კვირას ჰქონდა ადგილი, როდესაც სენატორმა გააკრიტიკა ობამა საქართველოს გაყიდვისთვის. მისი აზრით, ობამას კონგრესისთვის არ უნდა წარედგინა აპრილში ხელმოწერილი აშშ-ს და რუსეთის ხელშეკრულება სტრატეგიული დამკვრელური ბირთვული იარაღის შემცირების სარატიფიკაციოდ. სენატორის აზრით, ამერიკის ადმინისტრაციას ეს არ უნდა გაეკეთებინა, ვინაიდან რუსეთი ცუდად ექცევა საქართველოს. მაკკეინის მიხედვით, თითქოს აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია მარტო რუსეთისათვის იყოს შეღავათის მომტანი. ვაშინგტონ-მოსკოვის ურთიერთობები ისეთ სტადიაში გადადის, რომ არც ერთი მათგანი საქართველოს გულისათვის არ შეეცდება ძნელად აშენებული კონსტრუქციის დანგრევას. მაკკეინისთვის უცხო არ უნდა იყოს ქვეყნების აქეთ-იქით გადახრა, გამომდინარე პოლიტიკური კონიუნქტურიდან. ცნობილი ფაქტია, რომ ქვეყნებს შორის მეგობრობა არ არსებობს, არსებობს ინტერესები. თუ ვინ გაყიდა საქართველო, ძნელი გამოსაცნობი არ არის. **სწორედ მაკკეინის რეიტინგის ამაღლებისთვის გადაიდგა 2008 წლის ნაბიჯი. სააკაშვილმა ვერ გათვალა, ამიტომაც წააგო. წააგო, როგორც, პოლიტიკოსმა, ისე მხედართმთავარმა, მაგრამ ყველაზე წაგებული — ქვეყანა აღმოჩნდა. და როდესაც ქვეყანას ასეთი პრეზიდენტი ჰყავს, არც მომავალშია გამორიცხული გაუთვლელი ნაბიჯები, თუნდაც იმასთან მიმართებაში, რაზეც დასაწყისში იყო საუბარი — ირანის ბირთვული კვლევის პროგრამა და მისგან გამომდინარე პრობლემები.**



გასულ კვირას სამთა ხელშეკრულება (ირანი, ბრაზილია, თურქეთი) ისე გაჟღერდა თითქოს ირანის საკითხს საბოლოოდ დაესვა წერტილი, მაგრამ ტრადიციული სკეპტიკოსი აშშ მაინც თავისას გაიძახის — ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას. ჰილარი კლინტონის განცხადებით, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივ წევრთან, მიღწეულია შეთანხმება და ამ საკითხის უშიშროების საბჭოზე განხილვას წინ არაფერი დაუდგება. კლინტონის განცხადება, სამთა ხელშეკრულების შემდეგ გახდა ცნობილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ვაშინგტონის გადაწყვეტილებას ვერაფერი შეაჩერებს. აშინებს თუ არა ირანს ეკონომიკური სანქციები? აჰმადინეჟადის განცხადებით, არა. ირანი უძლებს ადრე შემოღებულ სანქციებს, გაუძლებს ახალსაც. ირანის ბირთვული პროგრამა ისეთ სტადიაშია შესული, რომ უკან დახევა ანუ ურანის გამდიდრების პროცესის შეჩერება შეუძლებელია. გამდიდრებული ურანი ლამის მთელი ირანის პრესტიჟად არის ქცეული. როგორც ჩანს ირანის სურვილია ენერგეტიკის განვითარების პროცესის იმ დონემდე მიყვანა, საიდანაც ერთი ნაბიჯილა დარჩება ბირთვული იარაღის შექმნამდე. ბომბის შექმნა არ არის აუცილებელი. ირანის ხელისუფლება თვლის, რომ ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობა დაამუხრუჭებს ამერიკელთა აგრესიულ პოლიტიკას ამ ქვეყნის მიმართ. ირანში სჯერათ, რომ „დიდი ეშმაკი", აშშ თავს დაესხმის ირანს. ერაყის მაგალითი მათზე მოქმედებს. ირანელთა აზრით ერაყს, რომ ბირთვული იარაღი ჰქონოდა, ბუში ვერ გაბედავდა მასზე თავდასხმას.

ამზადებს თუ არა ირანი ბირთვულ ბომბს? ეს კითხვა გამოცანად რჩება. ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოფილი დირექტორის ბარადეის ფრთიანი განცხადების მიხედვით ეს არ მტკიცდება — „ის, რომ ხვალ გავიღვიძებთ და ირანი ბირთვული იარაღით დაგვხვდება. ძნელად დასაჯერებელია", თქვა მან. იარაღის შექმნას დრო სჭირდება. აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო ინსტიტუტის შეკვეთით ამერიკელმა და რუსმა ექსპერტთა ჯგუფმა, სერიოზული კვლევის შემდეგ, გასულ წელს, გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის მიხედვით ირანს, გამდიდრებული ურანის შექმნისა და სამიზნემდე მიტანისათვის — ხუთი წელი ესაჭიროება. საერთო ჯამში, ირანს 6-8 წელი სჭირდება 1000-კილოგრამიანი ბირთვული ქობინის დამზადებისთვის და თუნდაც 2 000 კმ-ით დაშორებულ ობიექტამდე მიტანისათვის. ირანის ბომბით ამერიკა-ევროპის განადგურება დღეს შეუძლებელია, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ირანის სურვილი იყოს ეს, ვინაიდან ასეთ გამოხდომას ირანისათვის მძიმე შედეგები მოჰყვება. ირანის იარაღით ყველაზე მეტად ისრაელია შეშფოთებული. ის 1.300 კილომეტრზე მდებარეობს ირანიდან. და ირანის რაკეტები თავისუფლად აღწევენ ისრაელამდე. მიუხედავად ანტიისრაელური განცხადებისა ამ ქვეყნის მიწისაგან პირისა აღგვასთან დაკავშირებით, ირანს დიდი სურვილი არ ექნება ისრაელის დაბომბვის, ვინაიდან ასეთი, არა მარტო ებრაელებს გაანადგურებს, არამედ ისრაელში მცხოვრებ არაბებსაც, რაც რეგიონის ლიდერობისათვის მებრძოლი ირანისათვის პოლიტიკური კრახის მომასწავებელი იქნება. ყოველივე აღნიშნული ისრაელისათვის ნაკლებად დასამშვიდებელია. მისი აზრით უმჯობესია დღეს გარისკვა და წერტილოვანი დაბომბვით ირანის ბირთვული სამუშაოების შეჩერება, ვიდრე ბირთვული ირანის ხილვა. ასეთი პერსპექტივის შემთხვევაში არა მარტო აშშ იქნება ჩართული კონფლიქტში, არამედ სხვა ქვეყნებიც. კონფლიქტი გაზრდის სააკაშვილის აქციებს ანუ საქართველოს სამხედრო აეროდრომების გამოყენების შესაძლებლობას ამერიკელთა მიერ. **ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამერიკასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მსურველი სააკაშვილი თვალის დახამხამებაში დაეთანხმება ვაშინგტონის ნებისმიერ სურვილს, რაც საქართველოსთვის ერთობ სახიფათო იქნება. ვიმედოვნებ, ჩემი ვარაუდის განუხორციელებლობას, თუმცა საქართველოს ხელისუფალთა შემხედვარე ყველაფერია მოსალოდნელი. იმედად ისღა დაგვრჩენია — გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრმა და გერმანიამ ყველაფერი იღონონ საკითხის მშვიდობიანი მოგვარებისათვის. ბოლოს და ბოლოს, არც ბირთვულიარაღიანი ირანი შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის დასასრულად. ის ისეთივე ქვეყანა იქნება, როგორებიც არიან ბირთვული ინდოეთი, პაკისტანი, ისრაელი. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ირანს ერთხელაც არ გამოუვლენია აგრესია მეზობელი და არა მარტო მეზობელი ქვეყნების მიმართ და იმედია, ამას არც მომავალში გამოავლენს. მხედველობაშია მისაღები ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ჰამენეის განცხადებაც, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა გმობს მასობრივი განადგურების იარაღს. მისი მიზანია მშვიდობიანი ბირთვული ენერგეტიკის შექმნა.**

**რაც შეეხება სააკაშვილის ახალ პოლიტიკას ირანთან, აშშ-ს ყურადღების მისაპყრობად არის გათვლილი და არა რეგიონული პრაგმატიზმით. სააკაშვილის პოლიტიკურ ქცევაში მარტივი „სიბრძნეა" — არ გინდივარ, შენს მტერს — ირანს ჩავეხუტები.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

კონფერენცია

# ათასობით დევნილი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს

**საკონფერენციო ცენტრში „Hillside Event", გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" კონფერენცია თემაზე: „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" და ფუნდამენტური უფლებების დაცვა".**

კონფერენცია ჩატარდა აშშ-სა და ნორვეგიის საელჩოების, ევრაზიისა და „ღია საზოგადოება — საქართველოს" ფონდების მხარდაჭერით.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ - ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც აღინიშნა, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" 2008 წლის აგვისტოს ომით მატერიალურად დაზარალებულთა 30-მდე საქმეს აწარმოებს.

ათასობით დევნილს სტატუსი არ მიენიჭა და, შესაბამისად, ისინი დევნილის მოწმობის გარეშე, 30 მაისის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. სტატუსის მინიჭება არ ხდება მაშინაც კი, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს.

რაც შეეხება ე.წ. სასაზღვრო სოფლებში არსებულ ვითარებას, ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე დაყრდნობით განაცხადეს, რომ მდგომარეობა არათუ გამოსწორდა, არამედ უარესობისკენაა შეცვლილი.

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გასაგზავნად ამზადებს ომის დროს მოკლულ, დაჭრილ და ტყვედყოფილ პირთა საქმეებს.

ორგანიზაცია მუშაობს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის: 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენების დროს მოქალაქეთა მიმართ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევის, ტელეკომპანია „იმედში"სპეცრაზმის შეჭრისა და ჟურნალისტების საქმიანობისთვის ხელის შეშლის, განსხვავებული აზრის მქონე ახალგაზრდული ორგანიზაციების დევნისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებების დარღვევის საქმეებზე.

დისკუსიის მსვლელობისას გამოითქვა მასშტაბური კონფერენციის გამართვის იდეა, რომელიც მიეძღვნება აგვისტოს ომს და მის შედეგებს. კონფერენციაზე დასასწრებად მოწვევას მიიღებს ხელისუფლება, რაც, როგორც აღინიშნა, ღია დიალოგში მისი გამოწვევა იქნება. არასამთავრობო ორგანიზაციები მზად არიან ამ საკითხზე საკუთარი ანგარიშის წარმოსადგენად და ამასვე მოითხოვენ ხელისუფლებისგანაც.

**ნათია ნიბლაძე**

**საქართველოს რადიო — 85**



# ეს არის პროგრამა, რომელიც არ იტყუებოდა

*23 მაისს საქართველოს რადიოს დაარსების 85 წელი შეუსრულდა. სწორედ ეს დღე შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში ელექტრონული მედიის დაბადების დღედ.*

*30 წელზე მეტია, რაც ამ არხზე გადის პოპულარული პროგრამა „პიკის საათი“. იშვიათად მოიძებნება გადაცემა, რომელსაც ამდენი ძარცეცხლისთვის გაეძლოს და კვლავ მწყობრში დარჩენილიყოს.*

ძალზე საინტერესოდ იყო წარმოდგენილი საერთაშორისო ცხოვრება. ბატონი გივი ბოლოთაშვილი და რამაზ ქართველიშვილი, არატრადიციულ სტილში უძღვებოდნენ ამ საქმეს, რაც ნიშნავს, რომ არა მარტო რუსული სააგენტოების მასალებით ამზადებდნენ მას. პირველად „პიკის საათში“ შემოვიღეთ ეკონომიკური მიმომხილველის ინსტიტუტი, ამ საქმეს მაშინ ახალგაზრდა რომან გოცირიძე უძღვებოდა, როცა ადამიანი თავის ენაზე საუბრობს, საკუთარ განცდაზე, სიხარულსა და ტკივილზე, მაშინ არის საინტერესო.

პიკს არც მწვავე თემები აკლდა და არც კოლორიტული, 14 აპრილის გამოძახილი, თუ საინგილოს პრობლემები, კორუფცია და ა. შ.

ინტერვიუს გამორჩეული ადგილი ეკავა. ერთი მათგანი განსაკუთრებით მსურს გამოვარჩიო, ინტერვიუ... აკაკი წერეთელთან, მორიგი იუბილე ახლოვდებოდა. ორიგინალურად გვსურდა აღგვენიშნა. საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში №1 ჩანაწერი აკაკის „განთიადია“ ავტორის კითხვით. რატომ არ შეიძლება „მასთან“ ინტერვიუს აღება, მხოლოდ რადიო იძლევა ამის საშუალებას. რატომ ასეთი ფორმით? იმიტომ, რომ დროის სივრცეში კავშირი არ გაწყვეტილა დიდ წინაპართან. რაკი პასუხი ვიცოდით კითხვებიც ადვილი მოსამზადებელი გახდა, მაგალითად:

კორ: — რას ინატრებდით, მგოსანო?

აკაკი: — ...„დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ“...

ინტერვიუმ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, გვიჩივლეს... გაგვამართლეს.

ერთ ახალ წელს ბატონი ნოდარ დუმბაძე იყო ჩვენი მეკვლე „ქართველი კაცი მხოლოდ მშვიდობიანობის დროს ავლენს თავის საუკეთესო თვისებებს“, ახლაც ყურში ჩამესმის ბ-ნი ნოდარის ბუხუნა ხმა. რა მართალი იყო! მაშინ ეს არ ვიცოდით.

გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე ინტერვიუ ბატონ ოისებ ნონეშვილთან.

კორ: რა არის თქვენთვის პოეზია?

ი. ნონეშვილი: სიცოცხლე, რაც თავი მახსოვს ლექსსა ვწერ...

კორ: რა არის ადამიანის მთავარი ღირსება?

ი. ნონეშვილი:
...„წუთისოფელს
კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე, ესეც გმირობაა დიდი!“

რევაზ ლაღიძე, დაბადების 60 წლისთავზე: (ესეც ბოლო ინტერვიუ).

კორ: ბ-ნო რეზო, საკუთარი ნაწარმოებებიდან რომელი გიყვართ გამორჩეულად?

რ. ლაღიძე: ასე მგონია, „საბუდარელის“ დარი არაფერი დამიწერია... ადრე სტადიონზე შესვენებისას რომ დაუკრავდნენ, მეგონა ყველა მე შემომცქეროდა, გაპარვა მინდოდა სტადიონიდან... ვიცი, როგორ ვუყვარვარ ხალხს... მეტი უნდა შეგეძლოს, მეტი...

კიდევ რამდენიმე ეპიზოდი:

იპოლიტე ხვიჩია: ბავშვობიდან ვოცნებობდი ტრაგედიაში მეთამაშა. დონ კიხოტს ვინ მათამაშებდა და სანჩოზე როგორ ვიტყვი უარს. თუმცა რა... ცხოვრება მიდის, ოცნება კი გვერდზე გრჩება.

ეროსი მანჯგალაძე: რაც ფეხბურთის კომენტატორობას თავი დავანებე, სტადიონი რაა, ტელევიზორშიც არ ვუყურებ თამაშს. არც რადიოთი ვუსმენ რეპორტაჟს. მხოლოდ ღამის ინფორმაციით ვიგებ ანგარიშებს.

9 აპრილის შემდეგ „პიკის საათის“ ერთ-ერთი გამშვება ასეთი ფრაზით დავიწყეთ. ჩვენი ცხოვრება ორად გაიყო, 9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ“... დღესაც ასე ვფიქრობ. ქართულ ჟურნალისტიკაში მოხდა ის, რაზეც თაობები ოცნებობდნენ. შანსი გაგვიჩნდა უფრო საინტერესო გაგვეხადა ჩვენი საქმიანობა. თითქოს სიტყვამ სხვა ფასი შეიძინა და ნაბიჯიც გადავდგით იმ ხელისუფლებისაკენ, რომელსაც მეოთხეს ეძახიან. რა ხელისუფლებაა ეს? საზოგადოებრივ აზრზე გავლენის, კრიტიკის ხელისუფლება. იგი ღიას ხდის საზოგადოებას, აჯანსაღებს მას, აზრთა ჭიდილს იწვევს. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა „პიკის საათი“ 180 გრადუსით შეეცვალა მოღვაწეობა — გამხდარიყო პოლიტიკური პროგრამა, სადაც ანალიზი და თამამი კრიტიკა ყოველდღიური საქმიანობის აუცილებლობა გახდა.

1990 წლის 26 მაისს (ჯერ კიდევ კომუნისტების დროს) გადავწყვიტეთ, დამოუკიდებლობის დღე აღგვენიშნა „პიკის საათის“ სპეციალური პროგრამით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იმ დროის მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა აზრის თავისუფლებას ცენზორი არ ჰყოლია. მოგეხსენებათ, გადაცემაში დებატებიც, ცხარე კამათიც იყო, მუსიკაც და ღიმილიანი წუთებიც მართალი გითხრათ იმ პერიოდში ცენზორისგან მთლად განთავისუფლებულები არ ვიყავით და როცა ნუგზარ ერგემლიძემ პირდაპირ ეთერში ლენინზე ანეკდოტების მოყოლა დაიწყო, გავიფიქრე, ახლა დარეკავენ, თუ არ წაგვიყვანენ, გაგვთიშავენ მაინც... ჯერ ხომ კიდევ საბჭოთა ეპოქა იდგა.

არ დაურეკავთ!

გადაცემაში მონაწილეობა უნდა მიეღო ბატონ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ დროის შეუთანხმებლობის გამო ბ-ნი ზვიადი, გვიან მოვიდა, მაშინ, როცა გადაცემა უკვე დასრულებული იყო. ვისარგებლეთ შემთხვევით და ქეთევან სადღობელაშვილმა ერთსაათიანი ინტერვიუც ჩაიწერა, რომელიც თბილისის ომის შემდეგ ბ-ნი ზვიადის სხვა ჩანაწერებთან ერთად გაქრა — როგორც იცით, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ზვიად გამსახურდია და ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენლები საპყრობილეში აღმოჩნდნენ. სწორედ ეს ეპიზოდი გაიხსენა მაშინ ბ-ნმა ზვიადმა: „ციხეში ყოფნისას, მხოლოდ „პიკის საათს“ ვუსმენდი. იგი სიმართლეს და ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა მილიონობით მსმენელს“. ამის გამო მან მადლობა გადაგვიხადა.

ამ ამბიდან ექვსიოდე თვის შემდეგ, უკვე ხელისუფლებაში მოსული „მრგვალი მაგიდის“ ერთი აქტივისტი მეუბნება: „ზვიადს შენი დანიშვნა უნდოდა რადიოს უფროსად, მაგრამ მე ვუთხარი, ეს არ გაეკეთებინა, რადგან შენ გაზეთ „კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორის შვილი ხარ“. ასეთი ამბები ერთეული შემთხვევა არ გახლდათ, ადამიანები, რომლებიც გულწრფელად მხარს უჭერდნენ ახალი ცხოვრების დადგომას, დამოუკიდებელ საქართველოში მიჩნეულ იქნენ ძველის გადმონაშთებად... როცა ოპოზიცია მოდის ხელისუფლებაში, საკმაოდ რთული პროცესები იწყება. სახელმწიფოს გუნდური მართვისას ადამიანებს ხშირად გამოარჩევენ არა პროფესიული თვისებების, არამედ პარტიულობის და ერთგულების მიხედვით, ეს ცუდი სენია.

რაც შეეხება იმდროინდელ მედიას, კვლავ გაჩნდა აკრძალული თემები. გაჩნდა ლოზუნგი, „ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია“.

1991 წლის ჟურნალისტთა საპროტესტო აქციამ, რომელიც ტელერადიომაუწყებლობის წინ, კიბეებზე მიმდინარეობდა, დაადასტურა, რომ რაც უნდა ძნელი ასატანი იყოს განსხვავებული აზრი, არასოდეს უნდა შეებრძოლო მას, მით უმეტეს არ უნდა აკრძალო. სახიფათოა...

„პიკის საათი“, რომელიც მთლიანად გადართული იყო პოლიტიკურ ტალღაზე ორად გახლეჩილი საზოგადოების შესახებ სრულად აწვდიდა ინფორმაციას მსმენელს, ვიდრე, არ დადგა 14 სექტემბერი. სწორედ იმ დღეს, როცა პირდაპირ ეთერში დოდო შონავა და შავლეგ გეგეჭკორი იყვნენ, მე კი — საააპარატოში, მოვიდნენ და დააჭირეს ღილაკს „Stop“. რას ვიზამდით, გამოვდივართ შენობიდან და ვუერთდებით საპროტესტო აქციას.

სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, ისმის უზენაესი საბჭოს ერთხმიანი რადიო და ტელევიზია.

სამოქალაქო ომი!

თოფს, იარაღს გავემიჯნეთ, ეს ჩვენი საქმე არ იყო. და საერთოდ, უდიდესი შეცდომა იყო. ყველანი დავმარცხდით. ცხოვრება კი გრძელდება. სატელეფონო ზარებით, პირადი კონტაქტებით, ყოველთვის ვგრძნობთ რა განწყობაა საზოგადოებაში, ჟურნალისტის მოვალეობაც ეგაა, გამოიცნოს ეს განწყობა... მსმენელი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო მუსიკის გადაცემისა — ეს უკვე დეპრესიას ჰგავდა. მართალია დაფარული და დამალული თემები უკვე აღარ იყო, თუმცა მას ძალიან აკლდა პოლიტიკური კულტურა. ერთ ამბავს გავიხსენებ. საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში „მხედრიონელები“ წაიკიდნენ, ერთ-ერთი დაღუპულა. ინფორმაცია შსს-მ მოგვაწოდა და გადავეცით. დაზარალებული მხარის წარმომადგენლები გვიან ღამით „გვეწვივნენ“. მე და თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ედნარ გიორგობიანი ის-ის იყო შინ წასვლას ვაპირებდით. მათ იარაღი მაგიდაზე დადეს ლულებით ჩვენსკენ და გვეუბნებიან, ეს ამბავი ისე კი არა, ასე იყოო — ამოიღეს ქაღალდის ნაგლეჯი და მაგიდაზე გვიდებენ — ახლა ეს ინფორმაცია გადაეცითო. არ ვიცი, როგორ, მაგრამ მოვახერხეთ „სტუმრების გასტუმრება“. ასეთი იყო დემოკრატიის ჩანასახი ჩვენში.

აფხაზეთში ომს სამარცხვინო ამბები უსწრებდა წინ. სამოქალაქო ომმა, თბილისის შემდეგ, საქართველოს კუთხეებში გადაინაცვლა. „პიკის საათი“ სისტემატურად გადასცემდა ინფორმაციას სამტრედიის, სენაკის, ხობის თუ ხონის აღება-დაკარგვის შესახებ... ამაზე სამარცხვინო და საზარელი ინფორმაცია არც მახსენდება და ღმერთმა ნურც გაგვაგონოს!

ომი აფხაზეთში! მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანს შეეძლო წარმოედგინა, რომ ამ ომში რუსეთი არ ჩაერეოდა. ისიც ფაქტი იყო, რომ დაშლის პირას მისული რუსეთის არმიის ძალა ეფემერულად მოჩანდა... ბევრს გვეგონა, ეს ომი გააერთიანებდა ორად გახლეჩილ საქართველოს. იარაღი მხოლოდ ერთი საერთო მტრის მიმართულებით მიტრიალდებოდა. აქაც შევცდით, ვერ გავთვალეთ ქართველი კაცის ხასიათი („მე არ მინდა შენი დაბრუნებული საქართველო!“). მაშინ ამაზე არ გვისაუბრია. სირცხვილი იყო და იმიტომ, უთქმელობაც არ ვარგა.

სამწუხაროდ, ომის პერიპეტიების პირველი ინფორმატორი „პიკის საათი“ იყო, რადგან ყველაზე ადრე ჩვენ გავდიოდით ეთერში, შემდეგ წამოგვეშველა „ალიონი“. იმ ავბედით დღესაც, 26 სექტემბერსაც, ჩვენ პირველებმა...

ბუნებრივია ფრონტზე ჩვენი კორესპონდენტებიც მუშაობდნენ. ერთ რეპორტაჟზე შევაჩერებ ყურადღებას. 1992 წლის სექტემბრის დღეებია, ომი ახალი დაწყებულია. „პიკის“ საღამოს გამოშვებაში გელა ლეჟავამ მიმოიხილა ფრონტის ამბები, აღნიშნა, რომ დღემ შედარებით მშვიდად ჩაიარა, რომ თავად აპირებს პლაჟზე წასვლას. საღამოს „პიკი“ ერთ საათს გრძელდებოდა, პირდაპირ ეთერში ვიყავით... კვლავ სოხუმიდან ზარი, აღელვებული გელა გადმოგვცემს: „ეს წუთია სოხუმის თავზე მტრის თვითმფრინავის ზუზუნი ისმის“... (მაშინ მობილური არ იყო) მერე შევიტყვე, გელა ამ რეპორტაჟს დაცლილი შენობიდან გადმოსცემდა, ყველანი თავშესაფარში, სარდაფში გაკრეფილიყვნენ.

ზურაბ მახარაძე სანგრებში გვიმზადებდა მასალებს, ოპტიმისტურს, იმედიანს... ჩამოგვიტანდა, უკან ბრუნდებოდა.

ალექსანდრე იოსელიანი, ჩვენი საშკა — აფხაზეთის ომის გმირი, ჩვენი რადიოს დიქტორი. მსახიობი. წესით და სტატუსით მას არ ეკუთვნოდა იქ ყოფნა. გული ერჩოდა. თბილისში ვერ ისვენებდა...

...ომი შეწყდა, უკვე მერამდენედ იწყება ცხოვრება თავიდან... სენი სენს მოსდევდა. ჟურნალისტი თავისუფალია, თუმცა ახალი ტენდენცია ჩნდება, — წერე და იკითხე, ილაპარაკე, რამდენიც გინდა... არავითარი რეაგირება. იმ ეპოქის ერთმა გავლენიანმა პირმა ეთერში სრულიად გულწრფელად განაცხადა: „როცა ამერიკა სახელმწიფოდ ყალიბდებოდა, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ძარცვა-გლეჯით, უკანონოდ იშოვა პირველი კაპიტალი. თაობებმა კი ეს ყველაფერი დააკანონა, გაჩნდნენ კეთილშობილი თაობები“... ეს პოსტულატი უმტკივნეულოდ, კრიტიკის გარეშე მიიღო საზოგადოების ერთმა ნაწილმა. პოსტსაბჭოთა კრიტერიუმი — „მთავარია იყო მდიდარი, არა აქვს მნიშვნელობა, რა გზით იშოვნი ფულს“ ლამის ლოზუნგად, თუ სამოქმედო პროგრამად იქცა მრავალთათვის. კნინდება სახელმწიფოებრიობის შეგრძნება, უფერულდება მარადიული ღირებულება.

2004 წლიდან გადაწყვიტეს „პიკის საათისთვის“ პოლიტიკური ელფერი ჩამოეშორებინათ, ახლა მას უფრო კულტურული შემეცნებითი მიმართულება აქვს. მასზე უკვე სხვამ დაწეროს... 30 წლის შემდეგ.

**ვახტანგ ნანიტაშვილი.**



„პიკის“ შემოქმედებითი ჯგუფი, 90-იანი წლები

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 97.

## ◉ სიმართლე კი ასეთია

# „ტალიავინიმ, სარკოზიმ, შრიოდერმა და სხვებმა თავიანთი მამა-პაპების მიერ აშენებული ევროპა დაასამარეს“

**(მეოთხე გვერდიდან)**

პირადად ჩემთვის ტალიავინის მოხსენება შოკი აღმოჩნდა: წავიკითხე და ვიფიქრე: „ევროპა პენსიაში გავიდა, ევროპა აღარ არსებობს“. და მართლაც, გავიდა წელიწადი და ევროპა იშლება.

პირველ ყოვლისა, მოხსენების შინაარსს შეგახსენებთ. ადამიანს, რომელიც რუსულ-ქართული ომის დეტალებში ვერ ერკვევა, მოხსენება ცუდ შთაბეჭდილებას არ შეუქმნის. დოკუმენტში არაა გამეორებული არანაირი რუსული „გებელსოვშინა“: არც ზღაპრები იმის შესახებ, რომ მშვიდობიან სამხრეთ ოსეთზე საქართველოს მზაკვრული თავდასხმის უკან აშშ იდგა, არც იმის შესახებ, როგორ დაატყდა „მშვიდად „მძინარე ცხინვალს“ თავს ქართული „გრადი“, არც მტკიცება 2000 მშვიდობიანი ოსის მკვლელობაზე და ოს ქალიშვილებზე, რომლებსაც ტაძრებში წვავდნენ, არც ქართულ ტანკებზე, რომლებიც ახალშობილების სხეულებზე სეირნობდნენ... ტალიავინის მოხსენება ამ ჭორების ანალიზს რატომღაც არ შეიცავს.

არადა, სწორედ ეს ჭორები იქნა გამოყენებული რუსული არმიის შეჭრისა და ქართული სოფლების ეთნიკური წმენდისათვის! დოკუმენტის ავტორები მორცხვად დუმან ამის შესახებ, ეს კი იგივეა, რაც აღწერო ნაციზმი და არ ახსენო ნაცისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ ებრაელები ქრისტიანულ სისხლს სვამენ...

ამას მოხსენებაში უშუალოდ ომის ანალიზი მოსდევს და ეს ომი, ტალიავინის შეფასებით, იმ მომენტიდან იწყება, როცა თბილისმა ცხინვალზე დარტყმა განახორციელა. სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ პატივცემული კომისიის მიერ გაკეთებული პატარა დამატებაც იმის შესახებ, რომ ამას სხვადასხვა რთული მოვლენები უძღოდა წინ.

კითხვა ქ-ნ ტალიავინის: 1941 წლის ივნისში ფინეთმა სსრკ-ს ომი გამოუცხადა. ამას წინ უძღოდა ისეთი უმნიშვნელო დეტალი, როგორიც წითელი არმიის მიერ ათობით ფინური დასახლებული პუნქტის დაბომბვაა ომის გამოუცხადებლობის პირობებში. თუ არის დარწმუნებული ქ-ნი ტალიავინი, რომ ფინეთისა და სსრკ-ის II ომის ათვლა ფინეთის მიერ ომის გამოცხადების მომენტიდან უნდა დაიწყოს?

1939 წლის ნოემბერში კი პოლონეთის დევნილმა მთავრობამ სსრკ-ს ომი გამოუცხადა. ამას ისეთი წვრილმანი უძღოდა წინ, როგორიც წითელი არმიის მიერ ასევე ომის გამოუცხადებლობის პირობებში პოლონეთის ტერიტორიის 52%-ის ოკუპაციაა.

კითხვა ქ-ნ ტალიავინის: თუ თვლის იგი, რომ რუსეთ-პოლონეთის ომის ათვლა 1939 წლის ნოემბრიდან უნდა დავიწყოთ?

ქ-ნი ტალიავინი ომის ახალი განსაზღვრების შემოღებით მსოფლიო პოლიტიკაში გადატრიალებას ახდენს! თურმე, ომს ის იწყებს, ვინც აგრესორის ქმედებებს პასუხობს! როცა წითელი არმია ჰელსინკს ბომბებს აყრიდა და 20 000 პოლონელ ოფიცერს ციხეებში ყრიდა, როცა ოსი „მოხალისეები“ ქართულ სოფლებს წვავდნენ – ეს ომი არ იყო. აი, ამ ყველაფერს თუ პასუხს გასცემ, მაშინ იწყებ, თურმე, ომს! ტალიავინის კომისიის ლოგიკით, ქართველებს არ უნდა ეპასუხათ. მივლენ რუსული ტანკები გორამდე? – არ უპასუხო! მივლენ ახალგორამდე – არ უპასუხო! აი, თბილისამდე რომ მისულიყვნენ ტანკები და ქართველებს ეპასუხათ, მაშინ დაიწყებდნენ ეს არამზადა ქართველები ომს! ლოგიკა უზადოა: „ქართველებს რომ არ ეპასუხათ, ომიც ხომ არ იქნებოდა?!“...

მოხსენების მესამე საოცრება შემდეგში მდგომარეობს: კომისია დიდხანს მსჯელობს იმაზე, წარმოადგენდა თუ არა „7-დან 8 აგვისტოს ღამეს ქართული მხრიდან ცხინვალის დაბომბვა“ ადამიანის უფლებათა დარღვევას? – და მიდის დასკვნამდე, რომ წარმოადგენდა. ამჯერად ცალსახად დავეთანხმები პატივცემულ კომისიას. მოდით, ასეც ჩავწეროთ: მშვიდობიანი ქალაქისთვის საარტილერიო ცეცხლის გახსნა ადამიანის უფლებათა დარღვევაა.

თუმცა კომისიას, ისე, სხვათა შორის, უნდა დაედგინა, რა პირობებში გაიხსნა ცეცხლი... დაედგინა, მაგალითად, რატომ გახიზნეს ქართული მხარის მზაკვრულ თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე ცხინვალიდან თითქმის მთელი სამოქალაქო მოსახლეობა, სამაგიეროდ კი მასობრივ რეჟიმში შეიყვანეს ჟურნალისტები, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ, ქართული მხარის მზაკვრული აგრესია გაეშუქებინათ? რატომ გაავრცელა ოსურმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 7 აგვისტოს ინფორმაცია ქართული მხარის მიერ სოფლების დმენისისა და ხეთაგუროვოს განადგურების შესახებ, თუმცა როცა საკუთარი საქმისადმი პასუხისმგებლობის მქონე ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, ეს ინფორმაცია ადგილზე გადაემოწმებინათ, დადგინდა, რომ დმენისიც და ხეთაგუროვოც სრულიად უვნებელია, მათ მეზობლად არსებული ქართული სოფელი ნული კი იწვის? კომისიას შეეძლო, დაედგინა ასევე, რატომ ზეიმობდნენ ცხინვალის ახალი ბინადარნი ჯერ კიდევ 8 აგვისტოს საღამოს ნულის განადგურებას და წერდნენ ბლოგებში „არაგეგმიურად ავავსოთ გორის „მორგი“ გვამებით!“, რამდენიმე საათში კი საქართველო თავს დაესხა „მშვიდად მძინარე ცხინვალს“?

არც იმის დადგენა იქნებოდა უპრიანი, სად, რა და რამდენი განადგურდა, რადგან რაღაც ძალიან უცნაური ტოტალური დაცხრილვა გამოგვდის, რომლის დროსაც ადგილზე მყოფი „იზვესტიას“ კორესპონდენტი სასტუმროს შენობის სახურავზე ძვრება (!ძ და ამ „ტოტალურ დაცხრილვას“ ადევნებს თვალს, ოსური მთავრობის მინისტრი კი მთავრობის სასახლესთან გარბის და არკვევს, რომ იგი იწვის... როგორც ჩანს, იწვოდა და ბოლავდა არა მთელი ცხინვალი, თუკი მინისტრი მთავრობის სახლამდე ქუჩებში თავისუფლად და დაუსჯელად დარბოდა!

თუმცა მოვეშვათ ამ წვრილმანებს. დავეთანხმოთ ტალიავინის კომისიას: არ ჰქონდა საქართველოს უფლება, ქალაქისთვის თუნდაც ერთი ჭურვი ესროლა! აი, საპირისპირო მხარეს ჰქონდა უფლება, დაეწვა ნული და ეს ადამიანის უფლებათა დარღვევა არ არის! აი, საპირისპირო მხარეს ჰქონდა უფლება, მოეკლა ქართველი სამშვიდობოები – და ამაზე ქართულ მხარეს საპასუხო ქმედება არ უნდა განეხორციელებინა! აი, საპირისპირო მხარეს ჰქონდა უფლება, ენიავებინა 152 მმიანი იარაღიდან! – იმ უმნიშვნელო დეტალის განხილვას კი, საიდან მოხვდა კონფლიქტის ზონაში ამ კალიბრის იარაღი, ტალიავინის კომისია არ დაიწყებს...

კი ბატონო, მაგრამ მაინც რჩება კითხვა: ცხინვალს ხომ არა მარტო 7-დან 8 აგვისტოს ღამეს, არამედ 8-დან 9, 9-დან 10 აგვისტოს ესროდნენ – იმ დროს, როცა ქალაქში ქართული ტანკები იმყოფებოდნენ?!

ჩვენ ხომ ამ დაბომბვების შესახებ თვითმხილველების ჩვენებებიც მოგვეპოვება! ამ ჩვენებებიდან ნათლად ჩანს, რომ მართლაც გამაოგნებელი სისასტიკის დაბომბვების დროს, როდესაც ციდან ჭურვების წვიმა უკვე განურჩევლად ყველას და ყველაფერს ეცემოდა, ქუჩებში ვერავინ დარბოდა, ვერც შენობების სახურავებზე ძვრებოდა და აი, სწორედ ამ მართლაც გამაოგნებელი სისასტიკის დაბომბვებმა გამოდევნა ცხინვალიდან ქართული ჯარი!

ისმის კითხვა: ვინ ასწორებდა ცხინვალს მიწასთან, როცა ქალაქში ქართული ტანკები იყო? ამას თავად უტვინო ქართველები აკეთებდნენ? – თუ ასეა, მაშინ ტალიავინის კომისიას უნდა დაეგმო ისინი და ეთქვა, „აი, ქართველი ფაშისტების სიძულვილი ოსი ხალხის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მათ ქალაქის დაკავების შემდეგ საკუთარ ტანკებსა და ქვეითებს ბომბები დაუშინეს – ოღონდ მათთან ერთად ოსები გაენადგურებინათ!“... მაშინ კომისიას სასტიკად უნდა დაეგმო ტირანი სააკაშვილი, რომელიც „სიგიჟის შეტევის დროს ქალაქში საკუთარ არმიას ანადგურებდა“...

იქნებ, ეს რუსები ბომბავდნენ ყველას და ყველაფერს ქალაქიდან ქართველების განსადევნად?! – თუ ასეა, მაშინ ტალიავინის კომისიას ამისთვისაც ხომ უნდა მიეცა შეფასება?!

აი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამას წინათ ისევ განაცხადა, რომ „რუსეთი სამხრეთ ოსეთში ოსების სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდა, რომლებიც სხვა შემთხვევაში უბრალოდ განადგურდებოდნენ“, – უნდა ვიფიქროთ, რომ ფაშისტი ქართველების მიერ.... თუმცა მოულოდნელად ირკვევა, რომ სანამ ქართველები ქალაქში იმყოფებოდნენ, იქ მაინცდამაინც არავინ გაუნადგურებიათ, პირიქით, მათ სამოქალაქო მოსახლეობასთან ერთად ანადგურებდნენ რუსული ბომბები და ჭურვები!

თუ საარტილერიო მზადება ქალაქის მიმართ, რომელშიც ტანკები შეგყავს, სამხედრო დანაშაული და ადამიანის უფლებათა დარღვევაა, მაშინ როგორ უნდა შეფასდეს იმ მოსახლეობის ტოტალური დაბომბვა, რომელსაც „განადგურებისგან იცავ“?!

და რას ამბობს ამაზე ტალიავინის კომისია? – არაფერს, ის საერთოდ არ თვლის საჭიროდ, ამ უმნიშვნელო პრობლემით დაკავდეს! თუმცა უდავოა, რომ თავად ამ პრობლემის არსებობის შესახებ კომისია საქმის კურსშია, რადგან არსად მოხსენების ტექსტში იგი „ცხინვალის დაცხრილვას„ არ ახსენებს და ამავდროულად მუდმივად მოჰყავს დაცხრილვის დრო: „7-დან 8 აგვისტოს ღამე„... ცხინვალის სხვა დროის დაცხრილვები მას არ აინტერესებს!

რისთვის ვწერ ყველაფერ ამას? – იმიტომ, რომ ტალიავინის მოხსენებაში, ისევე, როგორც მიუნხენის 1938 წლის შეთანხმებაში, არ არის ცალსახა ტყუილი, მსგავსი იმისა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ნაციონალ-სოციალიზმის იდეებს უჭერენ მხარს, ან პატივცემული კომისია იზიარებს გენერალ ნოგოვიცინის შეხედულებებს და თვლის, რომ ქართველი ფაშისტების ზურგსუკან მეოთხე რაიხი იდგა აშშ-ის სახით...

ეს არა თანადგომა, არამედ სიმხდალეა, – შიში არა თუნდაც საერთაშორისო დიქტატორის, არამედ საერთაშორისო ხულიგნის წინაშე! და ამ სიმხდალეში არაფერი იქნებოდა გასაკიცხი, მის გამომგონებლებსა და სულისჩამდგმელებს რომ არბიტრის როლზე არ ჰქონდეთ პრეტენზია! – „თქვენ, ქართველები, გაუგებარი ხალხი ხართ, თქვენ, რუსები – ასევე გაუგებრები, მაგრამ ჩვენ – ევროპა უმაღლესი სასამართლო ვართ და პლანეტის სინდისი!“...

და აი, გაირკვა, რომ ამ სინდისის ყიდვა ან თუნდაც დაშინება არც არის საჭირო, – უბრალოდ, მას რაღაცნაირად ეზარება ურთიერთობების გაფუჭება რუსეთთან, რომელიც განუზომლად უფრო დიდია და მნიშვნელოვანი საქართველოზე...

უნდა ვთქვა, რომ ანალოგიური სიტუაციაა ევროპულ ეკონომიკაში. ეს საბერძნეთი კი არ ირღვევა ნაკერებზე, ეს ევროპაც კი არ ირღვევა ნაკერებზე, ეს ნაკერებზე ევროპული ბიუროკრატ-სოციალიზმის ფილოსოფია ირღვევა, რომელიც რაღაც დასანანი ისტორიული გაუგებრობის გამო საკუთარ თავს დემოკრატიად მიიჩნევს! ევროპა, რომელიც თავის დროზე აშენდა, აშენდა არა ამჟამინდელი ბიუროკრატების მიერ! ის აშენდა არა ტალიავინის, სარკოზის და „გაზპრომის“ პიარშიკი შრიოდერის მიერ... ის აშენდა II მსოფლიო ომის შემდეგ მათი მამებისა და პაპების მიერ, როგორც საბჭოთა კავშირის ალტერნატივა, მონობის ალტერნატივა, როგორც შეხსენება იმისა, რომ მიუნხენის ხელმოწერა და სოციალიზმის მშენებლობა დაუშვებელია! და ეს ევროპა სსრკის დასრულების შემდეგ ევროპელმა ბიუროკრატებმა დაასამარეს! ამ თვალსაზრისით ტალიავინის მოხსენება და ევროს დაცემა – ერთი მედლის ორი მხარეა“.

## ◉ სამეცნიერო კონფერენცია

# აღარ გავიმეოროთ წინაპრების შეცდომები

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების წარმომადგენლებმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო პრესკონფერენციას უმასპინძლეს. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობასა და დამოუკიდებლობის დაკარგვის გამომწვევ მიზეზებზე იმსჯელეს. სამეცნიერო კონფერენცია გახსნა გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრეზიდენტმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პაატა სურგულაძემ.**

**პაატა სურგულაძე:** – „ჩვენი შეხვედრის თემაა: „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და დამფუძნებელი კრების მოღვაწეობა“. კონფერენცია ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 26 მაისს. პირველი რესპუბლიკის შესახებ სერიოზული კვლევის ჩატარება შეუძლებელია, მაშინდელი პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების მოღვაწეობის შეუსწავლელად. ქრონოლოგიურად მოვიცავით ეს პერიოდი, დამფუძნებელი კრების არჩევიდან მასში შემავალ ფრაქციათა მოღვაწეობით. დეტალურად განვიხილეთ საშინაო და საგარეო საკითხები, შემდეგ – ქვეყნის ოკუპაცია და დამხობა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც კარგი იყო და აღარ გავიმეოროთ, რაც ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდა. ჩვენმა წინაპრებმა არ გამოიყენეს თავისი შესაძლებლობები ამის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა შევისწავლოთ ჩვენი ისტორია. იგივე შეცდომებს აღარ გვაპატიებს თაობა, – დასძინა სურგულაძემ.

საზოგადოების პრეზიდენტმა შეკრებილთ გააცნო წინადადება საქართველოში პირველი რესპუბლიკის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით. ცენტრში გაერთიანდება ამ პერიოდის მცოდნე ყველა სპეციალისტი და მაღალ დონეზე წარიმართება მუშაობა. სპეციალისტები შეისწავლიან ისტორიის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო პერიოდს“, – აღნიშნა სურგულაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ: ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი **ბონდო კუპატაძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დიმიტრი შველიძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ ჯანელიძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გელა საითიძე.**

სტუმრებს მიესალმა გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების წევრი **ტარიელ მუმლაძე.**

„ჩვენი დღევანდელი შეხვედრის თემაა დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და გრიგოლ ლორთქიფანიძის როლი. გრიგოლი იყო საზოგადოებისთვის თავდადებული ეროვნული გმირი. ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჭარის შენარჩუნებაში მან დიდი როლი შეასრულა. მისი თაოსნობით შეგროვებული ხალხი დაუპირისპირდა ქვეყანაში შემოჭრილ თურქებს, რომლებმაც საქართველოში შემოჭრისთანავე ქუჩის ქართული სახელები, თურქულით ჩაანაცვლეს. საქართველო კოზაკივით არ უნდა გაიჭყლიტოს, დიდი აქლემების ორთაბრძოლაში. მან თავისი გზა უნდა იპოვოს“ – ვკითხულობთ გრიგოლ ლორთქიფანიძის ანდერძში“ – შეგვახსენა საზოგადოების წევრმა.

საზოგადოების წევრებმა განაცხადეს, რომ სამომავლოდ იგეგმება გრიგოლ ლორთქიფანიძის მუზეუმის გახსნა მის მშობლიურ სოფელ – ისრეთში.

შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ისტორიათ მცოდნეები.

**თინათინ ბორცვაძე**

## ◉ სამეგრელო

# სად – ტაშ-ფანდური და სად – დევნილები!

**საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს – 26 მაისს ზუგდიდში ხელისუფლებამ გრანდიოზული კონცერტი გამართა, რაც უფრო წინასაარჩევნო კამპანია იყო, ვიდრე დევნილების მხარდაჭერა.**




**დიახ, კონცერტი დევნილების მხარდასაჭერად გაიმართებაო – აცხადებდნენ სახელისუფლებო ტელევიზიები, დევნილები კი მხრების აჩეჩვით და გაკვირვებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: სად კონცერტი და სად დევნილები, რა შუაში ვართ ჩვენ? მათივე განცხადებით, ასეთივე წინასაარჩევნო ბლეფი იყო აქციის გამართვა ენგურის ხიდთან.**

„ენგურის ხიდთან აქციის გამართვა, როდესაც ქართველები მარცხენა სანაპიროსთან დგანან, სრულიად არაფრისმომცემია. აქციების გამართვას რაიმე შედეგი რომ მოსდევდეს, შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ენგურის ხიდთან მრავალი აქცია ჩაგვიტარებია, კარვებიც გაგვიშლია და თვეობით გზებიც გადაგვიკეტავს, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა“ – თქვა იმდროინდელი აქციების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა (ვინაობის გამხელა არ ისურვაძ... დევნილთა უმრავლესობის განცხადებით, უმჯობესი იყო ის სოლიდური თანხა, რომელიც კონცერტის გამართვას დასჭირდა, დევნილთა კეთილდღეობისთვის დაეხარჯათ.

გულწრფელად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში ქართველი შემსრულებლების მიერ ჩატარებული კონცერტი გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ზუგდიდში მოწვეული უცხოელებისა.

ადრე ხელისუფლებას დევნილები არჩევნების წინ მაინც ახსოვდა (არ იგულისხმება არაფრისმთქმელი, ე.წ. საპიარო კონცერტები!ძ ამჟამად საერთოდ იგნორირებულნი არიან. ადრინდელ არჩევნებში დევნილების მონაწილეობას და აქტიურობას ბევრი რამ გადაუწყვეტია. ამჟამად კი დევნილთა ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მონაწილეობას არ აპირებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ქართული ოპოზიცია „ირანგეიტს“ აბუქებს

**კიევი უკვე რამდენიმე დღეა დუმს ქართული ოპოზიციის განცხადებასთან დაკავშირებით ირანისთვის უკრაინის იარაღის მიყიდვის შესახებ. ეს თემა არ გაისმის არც ოფიციალურ დონეზე, არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ხელისუფლება თავს ისე წარმოგვიჩენს, რომ ვერ ამჩნევს ხმამაღალ პოლიტიკურ ბრალდებებს. მაგრამ ზოგიერთი ჩინოვნიკი გამოთქვამს შიშს, რომ საკითხი შეეხება არა ქართული ოპოზიციის დამოუკიდებელ თამაშს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ კამპანიას, – რომელიც გვაგონებს თითქმის მივიწყებულ „ირანგეიტს“, რომელიც 2002 წელს უკრაინას გადახდა თავს**

შეგახსენებთ, რომ გასულ პარასკევს საავგენტოებმა გადასცეს თბილისის მეროზის კანდიდატის ზვიად ძიძიგურის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ ადრე ირანს მიჰყიდა რაკეტები, რომლებიც უკრაინიდან იყო მოწოდებული. ის აღნიშნავს, რომ არა აქვს დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ იცის: ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად ამოწმებს იარაღის საიდუმლო გარიგებებს. როგორც ცნობილია, ადრე საქართველოს ექს-პრემიერი, ამჟამად ოპოზიციონერი ზურაბ ნოღაიდელი ასევე აცხადებდა ქვეყნის ხელისუფლების მონაწილეობის შესახებ იარაღის უკანონო გარიგებებში.

ამ კონტექსტში განიხილავენ ოპოზიცია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოკვლევათა ფედერალური ბიუროს დირექტორის რობერტ მიულერის ამასწინანდელ ვიზიტს საქართველოში. სამხედრო ექსპერტი გიორგი მელითაური მიიჩნევს, რომ ვიზიტის მიზეზი შეიძლება იყოს საიარაღო გარიგებანი. მან ჟურნალისტებს უთხრა, რომ არ შეუძლია არც დაადასტუროს და არც უარყოს ოპოზიციის წარმომადგენელთა სიტყვები: „ირანისთვის იარაღის მიწოდების შესახებ არ არსებობს სარწმუნო ოფიციალური ინფორმაცია. მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ 2 წლის წინათ საქართველოში მოეწყო საიდუმლო სპეციალური ოპერაცია, რომლის დროსაც დააკავეს ირანის მოქალაქე. მას ბრალი დასდეს იარაღის უკანონო ვაჭრობაში“. სწორედ მაშინ მიაწოდა უკრაინამ საქართველოს საარტილერიო სისტემები, ტანკები, ჯავშანტექნიკა, თვითმფრინავები და დაახლოებით 500 რაკეტა და გამშვები დანადგარი.

მოგვიანებით უკრაინის ოპოზიციამ გამოაქვეყნა რამდენიმე განცხადება ვიქტორ იუშჩენკოს ბრალდებით საქართველოსთვის თითქოსდა იარაღის საიდუმლო მიწოდებასთან დაკავშირებით.

ყოფილი პრეზიდენტის თანამებრძოლებმა დაადასტურეს იარაღით ვაჭრობის ფაქტი, მაგრამ აღნიშნეს, რომ ყველა ეს გარიგება იყო კანონიერი და გამჭვირვალე.

იუშჩენკოსა და სააკაშვილის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ იარაღით უკანონო ვაჭრობის შესახებ სკანდალური თემის გააქტიურება დაკავშირებული არ არის გეოპოლიტიკურ ნიუანსებთან. მათი აზრით, მიზეზი იმალება „შავ პიარში“, რომელიც ტრადიციულად პოპულარულია როგორც საქართველოს, ისე უკრაინის წინასაარჩევნო კამპანიების პერიოდში. ამიტომ ყველა სამინისტრო და უწყება, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იარაღით ვაჭრობაზე, კომენტარებზე უარს აცხადებენ. საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერმა თემურ იაკობაშვილმა გვითხრა, რომ „ოპოზიციის ამჟამინდელი, ისევე, როგორც ბევრი სხვა განცხადება, ფანტასტიკის სფეროდანაა. ასეთ განცხადებას სერიოზულად ვერ მოეკიდები. მათ კომენტარებზე უარს ვაცხადებ.

უკრაინელი პოლიტოლოგი კონსტანტინ ბონდარენკოც ასევე მიიჩნევს, რომ სკანდალი ხელსაყრელია, უწინარეს ყოვლისა, ქართული ოპოზიციისთვის. მაგრამ მან შეგვახსენა, 2002 წლის მოვლენები, როდესაც პრესაში გავრცელებული განცხადებებისა და დაუდასტურებელი ცნობების გამო გაჩაღდა მასშტაბიანი საერთაშორისო სკანდალი, რომელიც დაკავშირებული იყო პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ბრალდებასთან ირანისთვის დანადგარ „ჯაჭვის პერანგის“ მიწოდების მაქინაციებში მონაწილეობის შესახებ. „ფაქტები არ დადასტურდა, სკანდალი მიაჩუმათეს, მაგრამ ვინ გაიხსენებს ამას ხმამაღალი ბრალდებების შემდეგ?“ – შეგვახსენა ბონდარენკომ.

არმიის, კონვერსიისა და განიარაღების კვლევის ცენტრის თანამშრომელმა სერგეი ზგურეცმაც გაიხსენა, უწინარეს ყოვლისა, „ირანგეიტი“: „აღმოაჩინეს თუ არა „ჯაჭვის პერანგი“ უცნობია, რომ მალე სკანდალის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს მიაყენა დარტყმა“. ამავე დროს ექსპერტს ეჭვი ეპარება, რომ ირანი დაინტერესებული იყოს უკრაინული რაკეტების შესყიდვით: „მათ აქვთ საკუთარი მაღალი კლასის იარაღი, ხოლო თუ ვილაპარაკებთ საგარეო მიწოდებასთან დაკავშირებულ ინტერესებზე, ირანისთვის უფრო მნიშვნელოვანია დაასრულოს გარიგება რუსეთთან კომპლექს C-300-ის მიწოდების შესახებ. ამ კომპლექსებს კარდინალურად შეუძლიათ შეცვალონ ძალების განლაგება რეგიონში, უკრაინის რაკეტებს კი არა“. ამას გარდა ზგურეცი ეჭვს გამოთქვამს, რომ თეირანს დასჭირვებოდა ჩართულიყო მიწოდებათა უკანონო სქემებში. მას ხომ პირდაპირ შეეძლო შეესყიდა მისთვის საინტერესო ნიმუშები: დღემდე ასეთ გარიგებებზე შეზღუდვები არ ყოფილა.

ცალკეული ჩინოვნიკები და ექსპერტები კიევში ვარაუდობენ, რომ სიტუაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს სწორედ რუსულ საზენიტო-სარაკეტო კომპლექს C 300-თან, რომლის მიწოდებაშიც ირანისთვის ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არაა.

აღსანიშნავია, რომ საიარაღო სკანდალი გაჩაღდა საქართველოს ხელისუფლებსთან რუსეთის ხელისუფლების ურთიერთობის სრული უქონლობის ფონზე.

**ტატიანა იუენკო**
**ვიქტორია პანფილოვა**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# „ვარდების რევოლუცია“ შევარდნაძემ მოაწყო?

**თბილისში გამოაქვეყნეს საიდუმლო აუდიოჩანაწერი, საიდანაც უნდა დავასკვნათ: ექვსნახევარი წლის წინათ მაშინდელი მთავარი ოპოზიციონერი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების პარტიასთან იყო შეკრული. თავად „ვარდების რევოლუცია“ გულდასმით დარეჟისორებული სპექტაკლი გახლდათ**

რამდენიმე დღის წინათ ქართულმა ოპოზიციამ აამოქმედა პროექტი „ხალხი სჯის ხელისუფლებას“. აი „სახალხო სასამართლოს“ ინიციატორმა, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა სასამართლოს ნივთიერი მტკიცების სახით გადასცა საქართველოს პირველი პირების საიდუმლო საუბრების 3 აუდიო ჩანაწერი. მათ გამოჩენას დიდი ხანია ელოდებოდნენ.

პირველი აუდიოჩანაწერი, რომელიც 2 საათზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება, გაკეთებულია 2003 წლის ნოემბერში მაშინდელი ოპოზიციისა და ბიზნესის ლიდერების შეხვედრაზე. „თეთრების“ ლიდერის სიტყვებით, იგი გაიმართა 17 და 20 ნოემბერს შორის, „ვარდების რევოლუციამდე“ რამდენიმე დღით ადრე. ის ადასტურებს, რომ ნოემბრის გადატრიალება დაგეგმილი იყო საქართველოს მაშინდელი ელიტის მიერ. „საკითხი შეეხება სპექტაკლს, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები“,– დარწმუნებულია პოლიტიკოსი.

შაშიაშვილმა განაცხადა, რომ მზადაა გადასცეს სასამართლოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საიდუმლო მოლაპარაკების მონაწილეთა ხმების იდენტურობას. ჯერჯერობით კი შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ იმის შესახებ, რომ ეს ხმები ჰგავს ავთანდილ ჯორბენაძის (სახელმწიფო მინისტრი ედუარდ შევარდნაძის მთავრობაში), მიხეილ სააკაშვილის, გივი თარგამაძის (პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელი) და აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის მამუკა ჯინჭარაძის ხმებს მათ გარდა დაფიქსირებულია კიდევ რამდენიმე კაცის ხმა, რომელთა ინდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა.

საკითხი შეეხება, ძირითადად, მცდელობას – მოაწყონ შევარდნაძისა და სააკაშვილის შეხვედრა. ჩანაწერის მიხედვით, თავდაპირველად „რევოლუციონერების“ გეგმებში არ ყოფილა პრეზიდენტის დაუყოვნებლივი გადადგომა. სურდათ მხოლოდ, რომ ებიძგებინათ მისთვის გაეუქმებინა პარლამენტის არჩევნების შედეგები. ამის შემდეგ უნდა გამართულიყო „მრგვალი მაგიდა“ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მონაწილეობით, შემდეგ კი – რიგგარეშე პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები.

მაგრამ „თეთრმა მელამ“ დაანგრია ყველა ეს გეგმა, როდესაც განაცხადა თავისი წასვლის შესახებ.

საუბრის მონაწილეები აღიარებენ, რომ არჩევნების შედეგები სისტემატურად იყო ფალსიფიცირებული. მაგალითად, კაცი, რომელიც საუბრობს ჯორბენაძის ხმით, გვაგონებს სააკაშვილის ხმის მფლობელს, რომ წინა არჩევნების დროს გამოიყენეს 350 ათასი ყალბი ბიულეტენი. მათი ნაწილი – თბილისის ვაკის რაიონში, სადაც პარლამენტის დეპუტატობაზე კენჭს იყრიდა საქართველოს ამაჟამინდელი პრეზიდენტი.

თვალში გეცემა, თუ როგორ ახასიათებენ საიდუმლო შეკრების მონაწილეები „ვარდების რევოლუციის“ ორ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს და ზურაბ ჟვანიას. ამ შეფასებებიდან ყველაზე მსუბუქია: „იდიოტი“, „გიჟი“, „ქათამი“.

**კირილ კოლოდინი**

ИЗВЕСТИЯ

# სააკაშვილმა რუსეთს ალღუმით „გადაუარა“

**საქართველოში ზეიმით აღნიშნეს მთავარი სახელმწიფო დღესასწაული – დამოუკიდებლობის დღე. თბილისში გაიმართა სამხედრო აღლუმი, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი დედაქალაქში გახსნა 51-მეტრიანი „იმ გმირების მემორიალი, რომლებიც დაიღუპნენ რუსეთის აგრესიის მოგერიების დროს 1921 და 2008 წლებში“. ექსპერტების აზრით, მემორიალის გახსნამ შეიძლება მიგვიყვანოს თბილისის ურთიერთობის ახალ გამწვავებამდე მოსკოვთან, სადაც ეს აქცია შეაფასეს, როგორც ანტირუსული**

დამოუკიდებლობის დეკლარაციის 92-ე წლისთავის წინ საქართველოში გაჩაღდა დიდი დისკუსია ამ დღეს სამხედრო აღლუმის გამართვის მიზანშეწონილობის შესახებ. ოპოზიციის რადიკალური ნაწილი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. „მიგვაჩნია, რომ სააკაშვილს არ აქვს უფლება მიიღოს აღლუმი. ის დამნაშავეა 2008 წლის აგვისტო ტრაგედიაში, – განაცხადა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ხაინდრავამ. – შარშან ჩვენ ჩავშალეთ სამხედრო აღლუმი და მის ნაცვლად მოვაწყვეთ სამოქალაქო – ხელისუფლების წინააღმდეგ“. მაგრამ ამჯერად ოპოზიციამ ვერ გადაწყვიტა რუსთაველის პროსპექტზე გაემართა საპროტესტო აქცია.



მიხეილ სააკაშვილის მოწოდებით აღლუმი დაიწყო წუთიერი დუმილით – „ლეხ და მარია კაჩინსკებს, აგრეთვე კატინში დაღუპული ყველა პოლონელის ხსოვნის აღსანიშნავად“. აღლუმში მონაწილე ქართველი ჯარისკაცები გამოწყობილი იყვნენ ნატოს ნიმუშის კამუფლაჟურ ფორმაში, ხელში ეჭირათ ამერიკული შაშხანები. პროსპექტზე გაიარეს თურქულმა ჯავშნიანმა მანქანებმა, ჩეხურმა თვითმავალმა საარტილერიო დანადგარებმა და ზალპური ცეცხლის ისრაელის სისტემებმა. პროსპექტს გადაუფრინა რამდენიმე ამერიკულმა შვეულმფრენმა, ექვსმა შემტევმა თვითმფრინავმა, რომლებიც დამზადებულია თბილისის საავიაციო ქარხანაში. ხელისუფლებას აშკარად სურდა ეჩვენებინა, რომ რუსეთის ჯარებმა 2008 წლის აგვისტოში ვერ შეძლეს ქართული ბაზებიდან მთელი ტექნიკის გატანა და საქართველო კვლავ ყიდულობს იარაღს.

მიხეილ სააკაშვილი ტრიბუნაზე იდგა ბიჭუნებთან ერთად, რომლებიც გამოწყობილი იყვნენ კამუფლაჟურ ფორმაში და აქნევდნენ ეროვნულ დროშებს. პრეზიდენტმა დამოუკიდებლობას „საერთოკავკასიური ოცნება“ უწოდა და არსებითად ბრალი დასდო რუსეთს ახალი აგრესიის და მთელი საქართველოს ხელში ჩაგდების მცდელობისთვის მზადებაში. ამავე დროს მან გააკრიტიკა ყველა, ვინც, მისი სიტყვებით, „მზადაა თავი გასწიროს კრემლისთვის და, დაუკოცნოს იმპერიული ჩექმები“: ეს იყო აშკარა მინიშნება პარლამენტის ექსსპიკერ და ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელზე, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ბევრჯერ იყვნენ მოსკოვში.

აღლუმის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი, უკვე კამუფლაჟურ სამხედრო ფორმაში გამოჩნდა გმირთა მოედანზე, სადაც გახსნა ზემოხსენებული 51-მეტრიანი მემორიალი. „ამ ახალგაზრდების გმირობა დარჩა ჩვენს ისტორიაში, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. 2008 წელს ჩვენ ჯარისკაცებს ასევე გმირულად რომ არ ებრძოლათ მტერთან, მაშინ განხორციელდებოდა პუტინის გეგმა და დღეს უკვე აღარ იქნებოდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი. და ჩვენ აღვნიშნავდით არა 26 მაისს, არამედ ოკუპაციის დღეს.

შეკითხვაზე, ხომ არ მიგვიყვანს მემორიალის გახსნა საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობათა ახალ გამწვავებასთან, რუსეთში ხომ ამ აქციას უსათუოდ აღიქვამენ როგორც ანტირუსულს, საქართველოში მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა გვიპასუხა: „რუსეთის ხელმძღვანელობამ იფიქროს, რაც უნდა, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, პატივი ვცეთ ჩვენს გმირებს“.

საღამოს საქართველოში გაიმართა ორი კონცერტი – ერთი თბილისში, მეორე – ზუგდიდში. აფხაზეთის საზღვარზე.

**გიორგი დვალი**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე




**ყირგიზეთის დროებითი მთავრობა სთხოვს ინტერპოლს, მოძებნოს გადაყენებული პრეზიდენტი ბაკიევი**

ადრე ძებნა გამოცხადებული იყო მის ძმებსა და შვილ მაქსიმზე. ამჟამად ბიშკეკში ამბობენ, რომ ყურმანბეკ ბაკიევის ადგილსამყოფელი უცნობია. გაქცევის შემდეგ მას თავშესაფარი მისცა მინსკში ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ. თუმცა ყირგიზეთში მიაჩნიათ, რომ იგი თურქეთში უნდა იყოს.

* * *



**ახმადი ნეჟადმა რუსეთს პრაქტიკულად ომი გამოუცხადა**

ახმადი ნეჟადის სიტყვებით, მოსკოვის მიერ გაეროს სანქციის მხარდაჭერა თეირანის წინააღმდეგ მიუღებელია. რუსეთი შეიძლება შევიდეს „ირანის ისტორიული მტრების“ სიაში, თუ არ შეცვლის თავის პოზიციას. ირანის ლიდერის სიტყვები გაისმა, როგორც ომის გამოცხდება, მიაჩნია გერმანიის ერთ-ერთ გამოცემას.

* * *



**ფხენიანმა გამოაცხადა სეულთან სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ**

ამას გარდა კორეის სახალხოდემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებს აცნობა, რომ მიაყენებს დაუყოვნებლივ დარტყმას, თუ სამხრეთ კორეის ხომალდები დაარღვევენ სამხედრო საზღვრებს. ეს განცხადებები გაისმა დაძაბულობის გაძლიერების ფონზე ორ კორეას შორის – სეულმა ბრალი დასდო ფხენიანს კორვეტ „ჩხონანისა“ და 46 მეზღვაურის დაღუპვაში.

* * *

**იანუკოვიჩის ვიზიტისთვის ლვოვში ამზადებენ საპროტესტო აქციას**

როგორც ელოდებიან მოეწყობა პიკეტირება და თეატრალიზებული მოქმედება რომლის მთავარი მოქმედი პირი იქნება მეფე მედვედი. ყმები – ვიტკა იალინკოვიჩი, კოლიან ხაზაროვი, დიმა სობაჩნიკი, ანკა რაზვოდჩიცა. აქციის ორგანიზატორები მილიციაში წაიყვანეს.



◎ გამოიცა იტალიაში

***შარშან იტალიურმა გამომცემლობა „სტუდიუმმა“ სერიით „ევრაზიატიკა“ (ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიულ კულტურათა კათედრის რვეულები)“ რომში გამოსცა მეტად საყურადღებო ნაშრომი: „ელენე მეტრეველი (1917-2003), ბიობიბლიოგრაფია, 2009, გვ. 348“, რომელიც შეადგინა იტალიაში მოღვაწე ჩვენმა თანამემამულემ, ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კა' ფოსკარი“ პროფესორმა გაგა შურღაიამ. წიგნის რედაქტორები არიან: ცნობილი ქართველი მეცნიერები რუსუდან გვარამია, ვალერი სილოგავა და ბიბლიოგრაფი მარეხ ასათიანი. მასში ქართულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე მიმოხილულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ფილოლოგის, ძველი ქართული ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა და ორგანიზატორის, საქართველოს სახელმწიფო და კ. კეკელიძის პრემიების ლაურეატის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამინდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) ერთ-ერთ მესაძირკვლისა და მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მისი უცვლელი ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ელენე პავლეს ასული მეტრეველის ცხოვრება და მოღვაწეობა.***

# დიდი მეცნიერის საერთაშორისო აღიარება



როგორც წიგნის წინათქმაში მისი შემდგენელი პროფ. გ. შურღაია აღნიშნავს, ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობა ერთობ შრომატევადი აღმოჩნდა. დიდი დრო და ენერგია მოითხოვა ელენე მეტრეველის ნაშრომების მოძიებამ, ანოტირებამ, მის ცხოვრებასთან, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევამ და დაზუსტებამ. ეს ძირითადად განაპირობა იმან, რომ ბიობიბლიოგრაფია მომზადდა და სტამბას დასაბეჭდად გადაეცა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მეცნიერის პირადი არქივის აღწერილობაზე მუშაობა: სისტემაში იყო მოსაყვანი საარქივო მასალები, მოსაძიებელი – ზოგიერთი დოკუმენტი, პრესაში გამოქვეყნებული ცნობები და ა.შ.



აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ დიდი მეცნიერის სიცოცხლეში იტალიის კონსტანტინესა და ანგელოზების სახელობის ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალმა „Studi sull'Oriente Cristiano“ („გამოკვლევები ქრისტიანულ აღმოსავლეთზე“, რომი) 2000-2001 წწ. დიდი მეცნიერის დაბადების 80 წლისთავის იუბილეს ოთხი სპეციალური ნომერი მიუძღვნა. პირველ საიუბილეო ნომერში, რომელიც მაშინ პროფ. გ. შურღაიას რედაქტორობით დაისტამბა, დაიბეჭდა მის მიერვე შედგენილი ელენე მეტრეველის ნაშრომების პირველი ანოტირებული ბიბლიოგრაფია ქართულ და იტალიურ ენებზე. წინამდებარე წიგნი ზემოაღნიშნული ბიობიბლიოგრაფიის გადამუშავებული და შევსებული გამოცემაა. იგი ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კათედრამ, იტალიის სახელით დაბადების 90 წლისთავზე მოკრძალებულ საჩუქრად მიუძღვნა დიდ ქართველ მეცნიერს, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მაღალი ზნეობის, სამშობლოს, მეცნიერებისა და კულტურის უანგარო, ჩუმი, თავდადებული მსახურების ნათელი მაგალითია.

საბიბლიოგრაფიო მასალა ქრონოლოგიურადაა დალაგებული. წიგნი იწყება ელენე მეტრეველის ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ვრცელი მიმოხილვით ქართულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე. ქართულ და იტალიურ ენებზე ბიბლიოგრაფირებული და ანოტირებულია მისი სამეცნიერო გამოკვლევები, სამეცნიერო-პოპულარული წერილები, აგრეთვე, რეცენზიები და გამოხმაურებები მათზე, ელენე მეტრეველის რედაქციით გამოცემული შრომები, ასევე, ლიტერატურა მეცნიერის შესახებ. აქვე მოტანილია მეცნიერის გამოუქვეყნებელი გამოკვლევებისა და სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებული დისერტაციების ჩამონათვალი. წიგნს დაერთვის ელენე მეტრეველის შრომებისა და სახელთა საძიებლები, ასევე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოილუსტრაციები.

თითოეული საბიბლიოგრაფიო მუხლი შეიცავს ქართულ და იტალიურ ნაწილებს. ბიბლიოგრაფიული რეკვიზიტები მოტანილია მეცნიერის მიერ შესრულებული ნაშრომის ენაზე, რომელსაც მოსდევს მისი იტალიური თარგმანი, თუ ნაშრომი ქართულად ან რუსულად არის დასტამბული; ანდა – ქართულ ენაზე, თუ ნაშრომი რომელიმე დასავლეთ ევროპულ ენაზეა დაბეჭდილი. ორივე შემთხვევაში დაცულია რეკვიზიტების ან მათი თარგმანის შესაბამისი ეროვნული ბიბლიოგრაფიული სინტაქსი.

ბიობიბლიოგრაფიას ღირსებას მატებს ისიც, რომ მასში პირველად არის აღწერილი ქართულად ელენე მეტრეველის მიერ უცხო ენებზე გამოქვეყნებული გამოკვლევები. ნაშრომთა შინაარსის გადმოცემისას ზედმიწევნით ზუსტად არის გადმოცემული დიდი მეცნიერის შრომების ძირითადი არსი, მიზანდასახულობა, მისი შეხედულებები, თვალსაზრისი, მიდგომები, კვლევის უმთავრესი შედეგები. ციტატები ნაშრომებიდან ზოგჯერ უშუალოდ არის ჩართული ანოტაციაში, ფრჩხილებში კი მითითებულია შესაბამისი გვერდი. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ანოტაციების ქართული და იტალიური ნაწილები სიტყვა-სიტყვით არ მისდევს ერთმანეთს. კერძოდ, ქართული ტექსტი არ შეიცავს ქართველი მკითხველისათვის ისედაც ცნობილ ინფორმაციას მაშინ, როდესაც ასეთი ინფორმაცია, როგორც სიახლე, ვრცლად არის გადმოცემული იტალიელი მკითხველისთვის.

ბიობიბლიოგრაფია ერთგვარად აჯამებს აკადემიკოს ელენე მეტრეველის მეტად საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგებს. **იგი არის ქართველი მეცნიერისადმი მიძღვნილი ამ სახის არა მხოლოდ პირველი ნაშრომი, რომელიც საზღვარგარეთ დაისტამბა, არამედ – პირველი ანოტირებული ბიობიბლიოგრაფიაც ქართულ სინამდვილეში.** იმედია, წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ქართველოლოგებსა და ბიზანტინისტებს, საერთოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერი კულტურით დაინტერესებულ მკითხველებს. ამასთანავე, გვინდა, გამოვთქვათ რწმენა, რომ იგი ახალგაზრდა მკვლევარებს გაუღვიძებს ინტერესს დიდი მეცნიერის მემკვიდრეობის შესწავლისადმი და ისინი თავიანთ მომავალ დისერტაციებსა თუ მონოგრაფიებში საფუძვლიანად გააშუქებენ იმ ადამიანის წვლილს ქართული ფილოლოგიური აზროვნების განვითარებაში, ვინც ათეული წლების განმავლობაში ლამპარივით იწვოდა, რათა გაეცოცხლებინა უძველესი ქართული ფოლიანტები, ვინც **წმინდანივით იცხოვრა და წმინდანივით აღესრულა** მათ მსახურებაში.

არ შეიძლება დიდი მადლიერებით არ ითქვას იმის შესახებაც, რომ **ნაშრომი დაიბეჭდა ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევრაზიული კულტურების კათედრის (გამგე ცნობილი იტალიელი სემიტოლოგი, პროფესორი ჯულიანო ტამანი) გრიფითა და დაფინანსებით და უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაეცა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების უმთავრეს ეროვნულ ბიბლიოთეკებს, ასევე, ქართველოლოგიისა და, საერთოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის სამეცნიერო-კვლევით და საუნივერსიტეტო ცენტრებს.**

**რუსუდან ქოზულაძე.**

◎ წარმოდგენა

# „მამაშვილობა“... ლიტერატურის მუზეუმში

**„მამაშვილობა“ – ასე ერქვა სპექტაკლს, რომელიც საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის სცენაზე ლიტერატურულმა თეატრმა წარმოადგინა. „მამაშვილობა“ ოთარ ჩხეიძის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით დაიდგა, რომელიც თავის დროზე „ათი საუკეთესო მოთხრობის“ კრებულში შევიდა. სპექტაკლის რეჟისორია ოთარ ბაღათურია, მხატვრული გამფორმებელი – სალომე ავალიშვილი, მუსიკალური გამფორმებელი – კოტე მჟავია. როლებს ასრულებენ: კოტე მჟავია (მამა), ნაირა გელაძე (დედა), ნიკოლოზ კვანტალიანი (შვილი) და სოფიო ფერაძე (რძალი).**



თეატრის დირექტორმა ლია ქინქლაძემ განაცხადა, რომ ლიტერატურული თეატრი მე-12 წელია არსებობს და 15 თანამშრომელს აერთიანებს. რეპერტუარში 11 სპექტაკლია. მისივე თქმით, დედაშვილობაზე უამრავი რამ არის დაწერილი, მამაშვილობის თემაზე კი – ნაკლებად. „მამაშვილობა“ სწორედ ამიტომ შეირჩა. მსახიობებმა სხვადასხვა დროს წარმოადგინეს გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, ნოდარ დუმბაძის და სხვათა ნაწარმოებები. დაგეგმილია აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა დადგმა.

კოტე მჟავიამ ბრწყინვალედ შეასრულა მამის როლი. მას გიგა ლორთქიფანიძემ ქართული თეატრის „ოქროს ფონდი“ უწოდა. მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული მსახიობია ნაირა გელაძეც, რომელიც რამდენიმე სცენარის ავტორიცაა. აღსანიშნავია ახალგაზრდა მსახიობების: ნიკოლოზ კვანტალიანისა და სოფიო ფერაძის ნიჭიერება. სწორედ ამის გამო, ლიტერატურული თეატრის მსახიობებს ხშირად სხვა თეატრებიც იწვევენ.

**ნოდარ გურაბანიძე,** **თეატრმცოდნე:** – ძალიან გულწრფელი, სიცოცხლით სავსე სპექტაკლია. ნაწარმოები სიტყვის ოსტატის დაწერილია. ყველაფერი ფარსულ-მოდერნულ საბურველშია გახვეული, მაგრამ მის მიღმა ძალიან ადამიანური ურთიერთობებია. აღსანიშნავია რეჟისორის თავდადება და მსახიობთა დიდი ძალისხმევა, რომელსაც საოცარი გულწრფელობაც ერთვის. აი, ამიტომაც არის ეს სპექტაკლი შთამბეჭდავი.

**ნინო ჩხიკვიშვილი, ლიტერატურათმცოდნე:** – მინდა გავიმეორო ისეთი საინტერესო თეატრმცოდნის სიტყვები, როგორიც ვასილ კიკნაძეა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ, როცა ერთმანეთს შთაბეჭდილებას ვუზიარებდით, მან მითხრა: ყველაზე მეტად ის მომეწონა ამ სპექტაკლში, რომ ქართველი გლეხის ფენომენი კვლავ დაბრუნდა ქართულ სცენაზეო. ამ სიტყვებს კიდევ ერთ რამეს დავუმატებდი – იმ საღამოს ნამდვილი ქართული სიტყვა ისმოდა სცენიდან, მომეჩვენა, რომ სწორედ მთავარი პერსონაჟი ოთარ ჩხეიძის ქართული გახლდათ. რეჟისორს, შემსრულებლებს, და საერთოდ, კოლექტივს უნდა მივულოცო წარმატება. დარბაზიც გადაჭედილი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მაყურებელს მოენატრა სცენიდან წამოსული მშობლიური განცდა.

**ქეთევან ზურაშვილი**

◎ არჩევანი

# მაშინ დაველოდები...

**ჩემი ყურით მოვისმინე ვერის ბაღში მწითური, სათვალიანი მამაკაცი როგორ საყვედურობდა გვერდით მჯდომ ჩამრგვალებულ ამომრჩეველს:**

– ვერ მომატყუებ, ძამა, გატყობ, არჩევნებზე მისვლა არ გინდა და ფეხს იმიტომ ითრევ.

– ვითომ რაზე მატყობ? – იპურჭყება სქელო, – წინასწარ განცხადებას ხო არ გავაკრავ, მივალ ოცდაათში და ჩავაგდებ.

– კი ჩააგდებ, მაგრამ ვის სასარგებლოდ ჩააგდებ, ხო უნდა იცოდე?

– რა მნიშვნელობა აქვს, მათგან, ვისაც ხმა უნდა მივცე, ყველას მეროზა უნდა.

– იმათ კი, მაგრამ შენ თვითონ რა გინდა?

– არც მაგასა აქვს მაინცდამაინც მნიშვნელობა.

– რატო, კაცო, აბა ამდენ დაპირებებს ტყუილად იძლევიან?

– საქმეც ეგ არი, ამდენი დაპირებებიდან ასარჩევი არაფერია.

– კარგი ერთი, დავიჯერო, საშენო ვერაფერი იპოვე?

– წარმოიდგინე, ვერა. გაზუთხულივით ყველა ერთიდაიმავეს იმეორებს – ხმა მომეცით და დაგასაქმებთო.

– ჰოდა ჩვენც მივცეთ, რა გვენაღვლება, თუკი დამშეულებს სამუშაოს მოგვცემენ, ხმა რატო უნდა დავიშუროთ?

– მაგრამ რო ვერ დავადგინე, იმათგან რომელი უფრო სწრაფად დაგვასაქმებს?

– გეჩქარება არა, ხო გამოტყდი?

– არაფერიც, – თავი გააქნია სქელომ, – სწორედ იმას არ მივცემ ხმას, ვინც მაჩქარებს.

– გაგიჟდი შე ჩემაა, – წამოენთო მწითური, – 10 წელიწადია უმუშევრად დაწანწალებ და კიდე არ გეჩქარება?

– არა. და საერთოდ, რატო არ მეკითხებიან, მე იქნებ მუშაობას უმუშევრობა მირჩევნია?

– არა ძმაო, არა – აღშფოთდა თანამოსაუბრე, – შენისთანების ხელში კიდევ კარგ ჭკუაზეა ეს მთავრობა. სამუშაოს გაძლევენ და კიდევ უარზე ხარ, ვერ გავიგე, სხვა რაღა ჩემი ფეხები გინდა?

ისა, რომ არჩევანის თავისუფლება უნდა იყოს, – არ დაიხია სქელომ, – როცა სამუშაოს მართმევდნენ, არც მაშინ ჩამაგდეს ძაღლად და არც ახლა, როცა მუშაობას გადაჩვეულს, საქმეს ძალით მაჩეჩებენ. გეკითხები, ეს არის დემოკრატია?

– დემოკრატია, დემოკრატია! – გამოაჯავრა მწითურმა, – ახლა დემოკრატია არ მოინდომა ამ შიმშილით გადაღრძუებულმა ამომრჩეველმა?

– კაცო, თავის დროზე საქმე წამართვეს და ახლა დემოკრატიაც გინდა რო წამართვან? ამათ, მგონი, სოციალიზმისკენ უნდათ ჩვენი მიბრუნება, როცა ყველა დასაქმებული იყო, მაგრამ არ იყო დემოკრატია. არაფერი გამოუვათ!

– კარგი ჰო, – მოლბა მწითური, – მუშაობა თუ არ გინდა, გია ჭანტურიას მაინც მიეცი ხმა, ის ხომ უსასყიდლოდ გვპირდება გაზისა და დენის გაიაფებას.

– ტყუილია, არ დაიჯერო!

– რატო, ტო, გადასარევი ვინმეა, მერად თუ ავირჩევთ და შევუჩნდებით, მაგან გაზი შეიძლება ათის ნაცვლად რვა თეთრადაც კი მოგვცეს.

– მაგის დანაპირები შენთვის მიფეშქაშებია, მე თავი დამანებე.

– გიგი უგულავაზეც უარზე ხარ? – არ ეშვება მწითური.

– აპა პა პა, არ გამაგონო! შენი აზრით, ვითომ რატომ უნდა მივცე ხმა, პურის გამოცხობა რომ ისწავლა? მაგის გამომცხვარი ვის რად უნდა, ძმაო, მალე თურქეთიდან შემოიტანენ იმპორტულ პურს და იმას ვიყიდი.

– პურზე არ გეუბნები, ტო, ამას წინათ ბაქტერიოფაგში რო იქექებოდა, თურმე ახალი ბაქტერია აღმოუჩენია!

– რომელი, კაცო?

– რომელი და ბირთვული. პუტინი თურმე გადარეულია, ნოლაიდელისთვის დაუბარებია, მაგ ბაქტერიას თუ დასცინცლავ უგულავას, აფხაზეთს და ცხინვალს ეგრევე შემოგიერთებო.

– მერე?

– მერე ისა, რო მიშა ჩარეულა საქმეში და უგულავასთვის ბაქტერია წაურთმევია.

– უყურე მაგ ყაჩაღს, მილიონები არ ეყოფოდა, ახლა კიდე ბაქტერია არ დაეთრია?

– მიშას ამბავი ხო იცი, ვერაფრითა ძღება, ბირთვული ბაქტერია თუ ჩაიგდო ხელში, დაკარგულ ტერიტორიებს ხო დაიბრუნებს და რუსეთს ისე დააჩოქებს, აქეთ შემოიერთებს.

– მაშინ დაველოდები, – არ დაიბნა სქელო, – და 2013 წელს მიშას მესამედ გაპრეზიდენტებას მივცემ ხმას.

**ოთარ ხუციშვილი**

ფეხბურთი

# მოზაიკა



**ფიფას ახალ რეიტინგში საქართველო კამერუნს ასი(!)ძ საფეხურით ჩამორჩება, მაგრამ ასეთი კოლოსალური სხვაობის მიუხედავად, „ჯვაროსნებმა“ დამდეგი „მუნდიალის“ ფინალური ეტაპის მონაწილე „მოუთვინიერებელ ლომებს“ ავსტრიის ქალაქ ლინცში გამართულ ამხანაგურ მატჩში ტოლი არაფერში დაუდეს და თემურ ქეცბაიას თავკაცობით კიდევ ერთი ღირსეული შედეგი გამოაცხვეს – 0:0.**

აქამდე აფრიკელებთან ჩვენს თანამემამულეებს დადებითი ბალანსი ჰქონდათ: 2 მოგება – ტუნისთან – 2:0, სამხრეთ აფრიკასთან – 4:1, ერთი ფრე – იმავე ტუნისთან – 1:1 და ერთადერთი წაგება – ნიგერიასთან 1:5. ასე რომ, „შავი კონტინენტის“ გუნდებთან სტატუს-კვო შევინარჩუნეთ, რაც თამაშის ხასიათის გათვალისწინებით, ლოგიკური გახლავთ – მეტოქეებმა ორ-ორი სახიფათო მომენტი გაცვალეს.

დავძენთ, რომ ამჯერად სარბიელზე არ გამოსულან მოწინააღმდეგე მხარეთა კაპიტნები კალაძე და ეტოო. ვინ უფრო იხეირა (ან იზარალა) ამით, თავად განსაჯეთ.

* * *

რადგან ზემოთ ფიფას ახალი რეიტინგი ვახსენეთ, მოდით, რჩეულთა ოცეულისა და ევრო-2012-ის შესარჩევ ციკლში ჩვენი ეროვნული ნაკრების მომავალ ოპონენტთა პოზიციებს გავეცნოთ: ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, იტალია, გერმანია, არგენტინა, ინგლისი, საფრანგეთი, ხორვატეთი, რუსეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი, აშშ, სერბეთი, ურუგვაი, მექსიკა, ჩილე, კამერუნი, ავსტრალია.

...26. ისრაელი, ...46. ლატვია, ... 120. საქართველო, ...154. მალტა.



* * *

საქართველოს ორგზის ჩემპიონისა და ქვეყნის სუპერთასის მფლობელის დედაქალაქის „ვიტ ჯორჯიას“ მდიდარი კოლექცია დავით ყიფიანის სახელობის ეროვნულმა თასმა დაამშვენა.

ბორის პაიჭაძის სტადიონზე გამართულ სატიტულო ბრძოლაში ვეტერინარებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს თბილისის „დინამო“ და დათუნაიშვილის ზუსტი თაურით იმარჯვეს კიდეც – 1:0. ვულოცავთ!

კალათბურთი

# რუსთაველებმა ფარდა დაუშვეს

**მოგეხსენებათ, რუსთავის „ოლიმპმა“ და „ენერჯი ინვესტმა“ წლეულს ქვეყნის საფეხბურთო და საკალათბურთო ჩემპიონატების ოქროს მედლები მოიპოვეს.**

**ქალაქის მერიის წინ შეკრებილმა რეგიონის საზოგადოებრიობამ ღირსეული პატივი მიაგო გამარჯვებულებს, რაც მამაპაპური მოლხენით დაგვირგვინდა.**

ეტყობა, ყბადაღებული ტრავმების მომიზეზებასთან ერთად, ღვინისძიებისთვის სამზადისმაც შეუშალათ ხელი საკალათბურთო კლუბის სასტარტო ხუთეულის წევრებს – ტუღუშს, ბოისას, ჩიტაშვილს, ბაბიაშვილსა და ტუჯანის, რათა იმავე დღეს თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს სუპერთასისათვის აგრარული უნივერსიტეტის გუნდთან გამართულ შეხვედრაში პარტნიორებს შეშველებოდნენ, თუმცა, ლიდერთა გარეშე მოასპარეზე სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით მობურთალ სასოფლოელებს (მათ მხოლოდ მათიაშვილი აკლდათ) და საპატიო სხვაობით დამარცხდნენ – 80:83.



მატჩის ბედი მნიშვნელოვანწილად მიხეილ კობეშავიძის შეგირდთა გამთამაშებლის წივწივაძის 28 ქულამ გადაწყვიტა.

ამით საკლუბო საკალათბურთო სეზონი ჩვენში ოფიციალურად დაიხურა.

წყალბურთი

# ერთი ფრე, ორი მოგება

**საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა (1992-1994 წლებში დაბადებულნი)ძ ნაკრები (ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე, ხუციშვილი, დავითური, ცანკაშვილი, სხილაძე, ქართველიშვილი, კერესელიძე, ურუშაძე, ქარჩილაძე, გოჩიტაშვილი, გელაშვილი, შუბლაძე)ძ რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით უკრაინის ღია ჩემპიონატში ასპარეზობს თანატოლებს შორის.**



ჩვენმა ბიჭებმა მეორე წრის პირველ ტურში ქულა გაიყვეს მარიუპოლის „ილიჩევეცთან“ – 4:4, მომდევნო ორი მატჩი კი ოდესელებთან (9:7)ძ და დნეპროპეტროვსკელებთან (15:13)ძ მოიგეს. ქართველი წყალბურთელები დნეპროძერჟინსკში კიდევ ორ შეხვედრას გამართავენ.

რაგბი

# „ლოკომოტივი“ დაამუხრუჭეს

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ „ლოკომოტივს“ ხუთიდან ყველა მატჩი მოგებული ჰქონდა, მაგრამ მეექვსე ტური მისთვის უიღბლო აღმოჩნდა: ამჟამინდელმა ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ“ ძლიერ მეტოქეს პირველი მარცხი აგემა – დაძაბულ ბრძოლაში 9:3 სძლია.**



რკინიგზელთა წაგებით ქუთაისის „აიამ“ ისარგებლა, რომელმაც მესამე ტურის გამოტოვებულ მატჩში თბილისის „აკადემიას“ სძლია 18:14 და გალიდერდა. „ხარებმა“ „ყოჩებს “ აჯობეს – 18:16. რუსთაველებმა წლევანდელ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აია“ | 7 | 6 | 0 | 1 | +55 | 12 |
| „ლოკომოტივი“ | 6 | 5 | 0 | 1 | +64 | 10 |
| „ლელო“ | 6 | 4 | 0 | 2 | +86 | 8 |
| „ყოჩები“ | 6 | 4 | 0 | 2 | +44 | 8 |
| „აკადემია“ | 6 | 2 | 0 | 4 | -8 | 4 |
| „არმაზი“ | 6 | 2 | 0 | 4 | -45 | 4 |
| „ბათუმი XV“ | 6 | 1 | 0 | 5 | -84 | 2 |
| „ხარები“ | 7 | 1 | 0 | 6 | -115 | 2 |

მუნდიალ-2010

# ფეხბურთის გამო გამოცდები გადადეს

**როგორც ბრაზილიის პრესა იუწყება, სულ ცოტა ბრაზილიის ორ უნივერსიტეტში გადაიდო მისაღები გამოცდები, რადგან ის ემთხვეოდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს.**




მინას-ჟერაისის შტატის ფედერალურმა უნივერსიტეტმა და სან-პაულუს უნივერსიტეტის თერმომექანიკურმა ფაკულტეტმა გადადეს 11 ივნისს ჩემპიონატის გახსნის დღეს დანიშნული ჩათვლები და გამოცდები. ასევე იქნება 20 ივნისსაც, როდესაც ბრაზილიის ნაკრები ხვდება კოტ-დივუარის ნაკრებს.

სამშაბათს ბრაზილიის გუნდმა, აფრიკაში გამგზავრების წინ გამართა თავისი ბოლო ვარჯიში.

პირველ მატჩს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები გამართავენ 15 ივნისს ჩრდილოეთ კორეის ნაკრების წინააღმდეგ.

ინტერნეტიდან

## ამერიკა „ფორმულაში“ ბრუნდება



**ავტორბოლაში „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის 2012 წლის კალენდარში ისევ გამოჩნდება ეტაპი – „აშშ გრან-პრი“, ის ხომ იქიდან 2007 წელს გაქრა.** ამერიკული ეტაპის გამართვის ადგილი იქნება ტეხასის შტატის დედაქალაქი ოსტინი. „ფორმულა-1“ ამერიკაში ჯერჯერობით ჩავა 2012 წლამდე. ოსტინში კი აპირებენ სპეციალური ტრასის მშენებლობას.

## მარადონა გაიხდის?



**არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა დიეგო მარადონამ თქვა, რომ ის შიშველი შემოურბენს ბუენოს-აირესის სიმბოლოს 67-მეტრიან ობელისკს, თუკი მისი გუნდი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიმარჯვებს. ეს მან განაცხადა რადიოსადგურის FM Metro ეთერში.**

არგენტინული პრესა ამტკიცებს, რომ სახელოვანი ფეხბურთელი და მწვრთნელი აუცილებლად შეასრულებს თავის დანაპირებს. ადრე მან ხომ ტიტველმა ირბინა ჟურნალისთვის Fl Grafico.

მარადონამ ისიც განმარტა, თუ ლეონელ მესი რატომ არ მონაწილეობდა ორშაბათს ამხანაგურ მატჩში კანადის ნაკრებთან – მას კუნთი ჰქონდა დაჭიმული, მე კი გარისკვა არ მინდოდაო. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ის იდეალურ ფორმაში იყოს 12 ივნისისთვის – თქვა დიეგომ.

## სამხრეთ აფრიკა მოიცდის

**იტალიური „ინტერისა“ და ბრაზილიის ნაკრების მეკარის ჟულიო სეზარის ცოლს სიუზანა ვერნერს თავისი საიტი აქვს ინტერნეტში, სადაც აზრებს უზიარებს ყველას, ვისაც ის აინტერესებს. ახლახან ის ჰყვებოდა იმაზე, თუ როდის ჩავა ქმართან სამხრეთ აფრიკაში, რათა მას უგულშემატკივროს მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც სეზარი ბრაზილიის ნაკრებში უნდა გამოვიდეს.**



სიუზანას თქმით, ის აფრიკაში არ წავა ტურნირის დაწყებისას. ის ამ დროს მილანში დარჩება ორ შვილთან ერთად, რომელთაც ამ დროს სწავლა აქვთ. არდადეგების დაწყებისას კი ბრაზილიაში გაემგზავრება მათთან ერთად. სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებას კი მაშინ გადაწყვეტს, თუკი ბრაზილიის ნაკრები ფინალში გავა. „აი, მაშინ გადავწყვეტ, ღირს თუ არა იქ გაფრენა“, – ასკვნის სიუზანა ვერნერი.

№ 98. პარასკევი, 28 მაისი, 2010 წელი.

◎ წკეპლიკა

# რა საჭიროა წიგნი?

**თურმე სკოლაში საჭირო არ არის წიგნი, რადგან წიგნი მალე ისვრება, ფურცლები იხევა, თან მძიმეა და ძვირი ღირს. მხოლოდ კომპიუტერი! განაცხადა პრეზიდენტმა. არ გაგიკვირდეთ ეს განცხადება.** აი, მისი განსწავლულობის მცირეოდენი მარგალიტები: „ჩვენი მეფეები და მთავარსარდლები ოსები იყვნენ“, „ფერეიდნელი ქართველები 300 წლის წინ „სულიკოს“ მღეროდნენ“, „თბილისი რომაელებმა დაიპყრეს“, „მოსემ 20 წელი ატარა ებრაელები უდაბნოში“ და სხვ. იცის კი მან ვინ იყო ფარნავაზი, რომ ფარნავაზმა პირველმა გამოაცხადა ქართული ანბანი სრულიად საქართველოს სახელმწიფო დამწერლობად? განა იცის, რომ პირველი ქართული წიგნი, ქართული ტექსტით ნაბეჭდი წიგნია – ქართულ-იტალიური ლექსიკონი, დაბეჭდილი რომში 1629 წელს, რომ წიგნის ავტორები არიან იტალიელი სტეფანე ბიოლინი და წმინდა ბასილის ბერი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი? განა იცის რომ 1709 წელს ვახტანგ მეექვსემ დააარსა თბილისში სტამბა, რომ 1712 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსანი“? ბევრი, ბევრი რამ არ იცის და არც სურვილი აქვს იცოდეს. უსწავლელობა სენია, ავადმყოფობაა, მაგრამ მისი არცნობა კიდევ უფრო ძლიერი სენია და როგორც პეტრიწი ბრძანებდა: „უმეცნებისა უმეცნებათა არს სენი უფიცხეს უმეცნება სენისა“.

დიდებული მოწოდება „იყავ სწავლის მძებნელი“, ე. წ. ვარდების რევოლუციამ დამჭკნარ ვარდთან ერთად ნაგავში გადააგდო და დარჩა მხოლოდ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

**ლონდა მდივანი**

**P. S. სამწუხაროა, რომ ჩვენში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოები ელემენტარულად ვერ აკმაყოფილებენ ნორმალური სახელმძღვანელოების მოთხოვნებს როგორც ტექსტობრივად, ისე გაფორმების მხრივ. მდგომარეობა ამ მხრივ საგანგაშოა.**

◎ ჩვენი კარაბადინი

# გულღია ადამიანებს დაბალი წნევა აქვთ

## საშიში მაღვიძარა



**იაპონელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ „ტოროლებს“ გულის დაავადების განვითარების რისკი უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც დიდხანს ძილი უყვართ.** გამოკვლევამ, რომელიც აწარმოეს ქალაქ კიოტოს რამდენიმე უნივერსიტეტისა და კლინიკის მეცნიერებმა, გამოავლინა ადამიანის გაღვიძების დროსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას შორის კავშირურთიერთობა. „როდესაც ადრე დგება, რომ წავიდეს სამუშაოზე ან გაივარჯიშოს, ადამიანს, როგორც ჩანს, სარგებლობა არ მოაქვს თავისი ჯანმრთელობისთვის. პირიქით, ის უფრო ზრდის გულისა და სისხლძარღვთა დაავადების წარმოქმნის რისკს“, – ნათქვამია გამოკვლევაში. მეცნიერებმა, რომლებმაც გამოიკვლიეს 23-დან 90 წლის ასაკამდე 3017 კაცის მდგომარეობა, დაადასტურეს, რომ იმ პაციენტების გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ვინც ადრე დგებოდა, უფრო სუსტია, მოწყვლადია ისეთი დაავადებების წინაშე, როგორიცაა ჰიპერტონია და ინფარქტი.

## მეგობრობა სასარგებლოა



**ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მეგობრებთან ურთიერთობა უნარჩუნებს გულის სიჯანსაღეს! თურმე იმათ, ვისაც დიდი ურთიერთობა აქვთ ადამიანებთან, ნაკლებად აწუხებთ გულის დაავადებანი.** გულღია ადამიანები ნაკლებად ეწევიან, მათ სისხლში შაქრის უფრო დაბალი დონე და არტერიული წნევაც უფრო დაბალი აქვთ – ეს ყველაფერი კი დადებითად აისახება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე.

## თევზი – ტერმინატორი

**ბევრი აკვარიუმისტისთვის ცნობილმა მკვეთრი ფერის თევზმა – ზებრამ მეცნიერებს ნამდვილი**



**სიურპრიზი შესთავაზა. როგორც ჰოვარდ ჰიუზის სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, მას შეუძლია მოახდინოს საკუთარი გულის ქსოვილის სრული რეგენირება.**

ექსპერიმენტების დროს მეცნიერთა ჯგუფი ამოკვეთდა ხოლმე თევზის გულის 20 პროცენტამდე კუნთოვან ქსოვილს, სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ კი იგი აღიდგენდა ძველ აქტიურობას და ცურავდა ისე, როგორც მისი ჯანმრთელი თანამოძმენი. ორი თვის შემდეგ მეცნიერები ოპერაციის ვერავითარ კვალს ვეღარ პოულობდნენ, თევზის გული კი იძენდა ძველ მოცულობას, ფორმასა და უჯრედოვან აქტიურობას. რეგენირებული გული ცემდა ისევე, როგორც ჩვეულებრივად.

ეს აღმოჩენა შეიძლება არსებითი დახმარება აღმოჩნდეს კარდიოლოგიაში მკურნალობის ახალი მეთოდების დამუშავებაში.

◎ სასარგებლო რჩევა

# სექსი ყველა ასაკში!

**ბევრს სმენია ფუჟუნბაო სუპერზე, რომლის დროსაც თავს გრძნობ, როგორც ოცი წლის ასაკში. შეიძლება, რამდენჯერმე მიმართო სექსს დღეში და სასარგებლოა პროსტატის დროსაც! სად შევიძინოთ იგი?**

**გიორგი ბერიძე, 63 წლის**

ფუჟუნბაო სუპერი – ეს არის 100-პროცენტიანი მცენარეული პროდუქტი. ეფექტიანია პირველი მიღებისთანავე, მიუხედავად ასაკისა და სექსუალური მოშლილობისა. მისი მიღება შეიძლება ნებისმიერი შუალედებით აუცილებლობის შემთხვევაში, და ყოველთვის 1 კაფსულის მოქმედება გაგრძელდება სამიდან ხუთ დღე-ღამემდე. ფუჟუნბაოს სუპერი უნდა მიიღოთ 3 დღეში ერთხელ, იგი ერექციას ხდის მყარს, ამწვავებს და ცვლის ორგაზმის გრძნობას, ზრდის სექსუალურ თვითშეფასებას, აგრძელებს სქესობრივ აქტს, გვიცავს ვადამდელი ორგაზმისგან და ზრდის სექსუალური კონტაქტების ოდენობას, აგრეთვე საკუთარ თვითშეფასებას. მისი მიღება რეკომენდებული არ არის საღამოს, ჰიპერტონიისა და გამოხატული ათეროსკლეროზის დროს. სასარგებლოა პროსტატისა და ადენომის დროს.

**ტელ. რუსეთში: 8-8002-034; 8-(351) 231-36-83; მოსკოვში: 8-(495) 364-39-00; 66-62-062.**

ДОРОВЫ

ხსოვნა

# ნათელა ხურცილავა



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი და ჟურნალისტი ნათელა ხურცილავა.

ნათელა ხურცილავა დაიბადა 1931 წლის 19 მაისს ყირიმში, ქალაქ სიმფეროპოლში, რეპრესირებულთა – ტერენტი ხურცილავას და ქეთევან იამანიძის ოჯახში. ყრმობასა და ყმაწვილქალობაში, მშობლებსა და ორ დასთან ერთად, მან გადაიტანა 30-40-იანი წლების უმძიმესი რეპრესიები.

ქალბატონმა ნათელამ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა ესთეტიკას და ეთიკას ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში. გამორჩეულია მისი თავდადებული, ნაყოფიერი ჟურნალისტური ღვაწლი: მუშაობდა რედაქტორად სამეცნიერო-სალვთისმეტყველო ჟურნალში „რელიგია“ და საპატრიარქოსთან არსებულ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის განკუთვნილ ჟურნალში „ფუძე“, ასევე გამომცემლობა „დედაენაში“.

ჰყავდა ურიცხვი აღზრდილი, რომელთაც დაუნანებლად, უანგაროდ და თავდადებით ემსახურა, ასწავლა, კეთილ გზაზე დააყენა და თავისი ტკბილი ლოცვით შეავედრა უფალს. და მაინც, ახლობლებს – ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს – უფრო დააკლდა მისი ერთგული ხელი, თბილი გული, წრფელი სიყვარული და საკვირველი თანადგომა და მადლიერება.

ნათელა ხურცილავას ნათელი ხსოვნა არ წაიშლება მის ახლობლებში, მეგობრებსა და კოლეგებში.

ჟურნალ „რელიგიის“ რედაქცია,
ჟურნალ „ფუძის“ რედაქცია,
გამომცემლობა „დედაენა“.

# მეგობრის ხსოვნას

მოულოდნელად დარია ხელი ერთობ მძიმე სენმა ნათელა ხურცილავას. ანევრიზმას ეძახიან ამ სენს. დაუყოვნებლივ მოათავსეს საავადმყოფოში. თითქოსდა, მოიკეთა ორიოდე დღის შემდეგ: გონება გაუნათდა და იქვე მყოფ მოკეთეს არასწორად წარმოთქმული სიტყვა, ხოლო მედიცინის მუშაკს ლათინური დასახელების წამლის სახელწოდებაც შეუსწორა...

ცხოვრების მანძილზე ხმალჩაუგებელი იბრძოდა ფილოსოფიური განათლებითა და ენციკლოპედიური ცოდნით გაჯერებული შესანიშნავი სტილისტი, ბრწყინვალე პუბლიცისტი, გონებანათელი პიროვნება მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად.

ჩვენო ნათელა – დედაო, საყვარელო დაო და ძვირფასო მეგობარო! საოცრად გულისხმიერი იყავი უკლებლივ ყველას მიმართ, სულით ხორცამდე გიყვარდა მოყვასი და სამშობლო. ყოველმხრივ მისაბაძი იყავი დიდისთვისაც და პატარისთვისაც. არასდროს წამოგცდებოდა აუგი სიტყვა არავისზე. სათნო ბუნებით მოსილი, საკუთარ თავს, განსაცდელსა თუ გაჭირვებაში მყოფს, არად აგდებდი – დღენიადაგ სხვისთვის ზრუნავდი.

გემშვიდობებით! მაგრამ ჩვენდამი მოძღვნილი შენი მშვიდი, უთქმელი და თავმდაბლობით აღბეჭდილი სიცოცხლე ჩვენს გულებში რჩება სამუდამოდ!

მადლიერებით აღსავსენი თავს ვხრით შენ წინაშე და ყოვლადმოწყალე უფალ ღმერთს შევთხოვთ:

აცხოვნე და ნათელში დაამკვიდრე სული გარდაცვალებულისა მხევლისა შენისა ნათელასი – ამინ!

მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე, გიგლა აბდალაძე, გიორგი გიგაური, ვახტანგ გოგოლაშვილი, შიო ლარცულიანი, იულონ ტოლიაშვილი, გივი როგავა, რუსუდან ხოჯავა, დოდო (მარიამძ ღლონტი, ანასტასია ზაქარიაძე, დალი ჭანტურია, მარიამ წიკლაური.



ალექსანდრე ჯიბლაძე, ამირან ტაკიძე, ბეჟან ხიმშიაშვილი, ინეზა ლომთაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უფროსი მეგობრის, თანამებრძოლის, კოლეგის, რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრის, ღირსეული მამულიშვილის

**როსტომ დოლიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## განცხადება

**2010 წლის 25 ივნისს შედგება სააქციო საზოგადოება „სურინჯის“ საერთო კრება მისამართზე: მატროსოვის ქ. №15.**

**დღის წესრიგი:**

1. 2009 წლის სამეურნეო-საფინანსო ანგარიში;
**მომხსენებელი გ. მამაცაშვილი**
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
**მომხსენებელი ბ. სვანიძე**
3. 2009 წლის შედეგების დამტკიცება.

**სააქციო საზოგადოება „სურინჯის“ დირექტორი გ. მამაცაშვილი**

◎ ინფორმაცია

# ანაკლიაში პატრიოტთა ბანაკი ამუშავდა

**ბანაკი ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა. ის 300 ბავშვზეა გათვლილი და პირველ დამსვენებლებს რამდენიმე კვირაში მიიღებს.**

**ანაკლიაში ბანაკის მშენებლობის სამუშაოების დაწყება მას შემდეგ გადაწყდა, რაც რუსმა ოკუპანტებმა ანალოგიური ბანაკი სოფელ განმუხურში გადაწვეს.**

**აღსანიშნავია, რომ გუშინ პრეზიდენტმა ანაკლიისა და განმუხურის დამაკავშირებელი ხიდიც გახსნა, რომლის სიგრძეც 350 მეტრია. ახალი ხიდი ერთმანეთთან ორ სანაპირო ზოლს დააკავშირებს, ამიტომ ის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.**

**ხიდის მშენებლობა 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

ХИ-ЭИВ-ЭНИ

## ერთი საღამოს ხიბლი



# ხალხის სიყვარული

როგორც ცნობილია, 24 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა შესანიშნავი კომპოზიტორის, ბრწყინვალე მელოდისტის, ქალბატონ მარიკა კვალიაშვილის „ვარსკვლავი“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელით მარიკა კვალიაშვილს გულითადად ვულოცავთ მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნას. გვეამაყება, რომ სიურპრიზად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით საზოგადოებამ შეიტყო, რომ ქალბატონი მარიკა კვალიაშვილი საკმაოდ მაღალი დონის მწერალიც ყოფილა, რასაც ადასტურებს ჩვენი გაზეთის 2010 წლის 15 მაისის ნომერში გამოქვეყნებული მისი ულამაზესი ნოველა – „ვემშვიდობები ხვალ დილით მოსაჭრელად გამზადებულ ალვის ხეს“.

უამრავი ხალხი ულოცავდა ღირსეულ დაფასებას **ქალბატონ მარიკას,** მივულოცე მეც და ვთხოვე ერთი-ორი სიტყვა ეთქვა „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველისთვის.

აი, რას ამბობს იგი – უზომოდ გახარებული და უზომოდ მადლიერი:

**– ბედნიერებაა, როცა გრძნობ შენს ირგვლივ მზრუნველობას, ხელშეწყობას, გვერდში დგომას გაჭირვებაში თუ დალხინებაში. ასეთ ადამიანებად მოვიხსენიებ თბილისის მერს ბატონ გიგი უგულავას, ბატონებს – მამუკა ახვლედიანს, მამუკა ქაცარავას და მერიის მთელ კულტურის სამსახურს, რომლებმაც არაერთი ადამიანის გული გაახარეს, პირადად ჩემთვის, ჩემი საღამოს ჩასატარებლად არაფერი დაიშურეს და გაიმართა ისეთი კონცერტი, რომელზეც მხოლოდ ოცნება შემეძლო. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ მომეცა საშუალება ჩემს ძვირფას მსმენელთან შეხვედრისა, რომელთა წინაშეც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რათა მათ სიყვარულს სიყვარულითვე ვუპასუხო, ისინი ხომ ჩვენი პირველი შემფასებელნი და დამფასებელნი არიან.**

საქვეყნოდ ვუცხადებ დიდ მადლობას თბილისის მერიას, რომ მიუხედავად ჩემი მოკრძალებული შემოქმედებისა, ასეთი დიდი დაფასება მხვდა წილად.

ასევე დიდ მადლობას ვუხდი – საქართველოს კულტურის სამინისტროს, ძველი თბილისის გამგეობას, დათო ოქიტაშვილს, დეპუტატ აჩიკო გეგენავას, ბატონ მამუკა ხაზარაძეს, ბიზნესმენ ჯოზეფ კეის, გია ჯოხაძეს, შპს „ელსავაკოს“, საინფორმაციო მხარდამჭერებს: რადიო „ფორტუნას“, რადიო „არ დაიდარდოს“, „ფოლკრადიოს“, ყველა მონაწილეს, რომლებმაც გვერდი დამიმშვენეს და ორი თვის განმავლობაში 110 მონაწილე დაუღალავად შრომობდა, რომ ეს საღამო წარმატებული ყოფილიყო.

პირადად ჩემთვის აღმოჩენაა უნიჭიერესი მსახიობი და რეჟისორი ზაალ ჩიქობავა, რომელმაც დიდი პროფესიონალიზმით სული ჩაუდგა ამ საღამოს.

რაც შეეხება მხატვრობას, დეკორაციას, რომელიც არაჩვეულებრივად ჩანდა დარბაზიდან, ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს ნიკუშა მშველიძეს ეკუთვნის. კიდევ და კიდევ ულრმესი მადლობა ყველას, უპირველესად, საქართველოს სულიერ წინამძღოლს, ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, რომლის მობრძანებამ ამ საღამოზე, მეტი ელფერი და ფასი დასდო ყველაფერს და, ბედნიერება იყო, როდესაც ჩემი საღამო უწმინდესის „საგალობლით“ გაიხსნა, – ამბობს ბოლოს ქალბატონი მარიკა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

# დაბადების დღეს ვულოცავთ პროფესორ სოსო კაპანაძეს

ბატონო სოსო,

თქვენ მთელ საქართველოში ცნობილი ადამიანი ბრძანდებით როგორც გულის დიდი მესაიდუმლე, რომელმაც არა ერთი და ორი თითქმის გადადებული ავადმყოფი გამოჰგლიჯეთ სიკვდილს. დღეს ისინი თქვენი წყალობით შეჰხარიან მზეს, სიცოცხლეს. სწორედ ამ ადამიანთაგან რამდენიმემ დარეკა გუშინ რედაქციაში, შეგვახსენა თქვენი დაბადების დღე და გვთხოვა, ბატონ სოსოს ჩვენი სახელითაც მიულოცეთო.

დიახ, ბატონო სოსო, თქვენი მრავალრიცხოვანი მადლიერი პაციენტებისა და ასევე ჩვენი მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით გილოცავთ მერვე ათეულში გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს და გისურვებთ იმდენ ათეულ წელიწადს ჯანმრთელ სიცოცხლეს, რამდენი ადამიანიც გიმადლით თავის განახლებულ გულის ძგერას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

## გუშინდელი ფოსტიდან

# მხარს ვუჭერთ...

აბაშელებს დიდად მოგვეწონა ქვეყნის დედაქალაქის მეროზის კანდიდატის გიგი უგულავას წინასაარჩევნო კამპანია (თბილისი ხომ ყველა ქართველისა და საქართველოს ყველა მოქალაქის ქალაქი დედაა!ძ. მან არ ითაკილა, მივიდა რიგით ადამიანებთან, მათთან ერთად მკლავები დაიკაპიწა, პური გამოაცხო, აეროპორტელებს თვითმფრინავების გადმოტვირთვაში მიეხმარა, მშენებარე კორპუსების საძირკველში დუღაბი ჩაასხა, მაღაზიათა ვიტრინები გაწმინდა, იყასბა, იაფთიაქარა, საქმით გვაჩვენა, რომ თუ თბილისის მერად ავირჩევთ, ქვეყნის აღმშენებლობას, ადამიანთა დასაქმებას რეალურად წაადგება.

გულითა და სულით გისურვებთ წარმატებებს არჩევნებში, ბატონო გიგი. გვჯერა, რომ გაიმარჯვებთ, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

**გიორგი დუნდუა,**

თქვენი მხარდამჭერი და გულშემატკივარი.

ქ. აბაშა.

„ოჯახის მკურნალი“

ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა

რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.

www.alashvili.com

## კადრი



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +26 |
| ქუთაისი. | +18 – +29 |
| ბათუმი. | +14 – +24 |
| ზუგდიდი. | +16 – +26 |
| თელავი. | +14 – +24 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2461 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6357 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9743 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2199 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2507 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1742 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6127 ლარი |



## ანეკდოტები

– როდის იბადება კამათისას ჭეშმარიტება?

– როდესაც კამათში შეფი ჩაერევა.

* * *

მოხუცი ცოლ-ქმარი უყურებს ტელეშოუს ქორწინების პრობლემებზე.

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, გამომყვებოდი ცოლად?

– შენ ხომ მკითხე ამის თაობაზე?

– მერე რა მიპასუხე?

– არ მახსოვს.

* * *



სასპორტო საქონლის მაღაზიაში ცოლი ტრენაჟორს ირჩევს.

– აი, ამ ტრენაჟორს თუ მიყიდი, უფროსკლასელს დავემსგავსები, – ეუბნება იგი ქმარს.

– მაგრამ, საყვარელო, – ეს ხომ მხოლოდ ტრენაჟორია და არა დროის მანქანა.

* * *

– შეიძლება გაგიჟდე ადამიანი, ჩვენი მეზობლები უკვე სამი დღეა არ ჩხუბობენ!

– იქნებ წაკამათდნენ?

* * *

ოჯახი ახალ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. რამდენიმე დღის შემდეგ მეგობარი ეკითხება ოჯახის თავკაცს:

– როგორ გრძნობთ თავს ახალ კორპუსში?

– ცოლი თავდაპირველად ნერვიულობდა, ახლა კი თავს საუკეთესოდ გრძნობს – უკვე წაეჩხუბა ყველა მეზობელს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.